ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 12 მაისი, 2021 | №82 (8611) | ფასი: 60 თეთრი

## „ასელთან სექსის მერე აბაზანაში შევედი, რომ გამოვედი, ასელი გადამხტარი იყო“

რას წერს ბესიკ თორდუა




გვ.5



გვ.5

## საქართველოს მოქალაქემ მადრიდში მაღაზია ერმიტაჟი გაძარცვა

# ნიკა მელიას სააკაშვილიც ებრძვის?!

გვ.2





გია ხუხაშვილი: „მელიამ სერიოზული ნაბიჯები გადადგა. ის შეიძლება „ოცნების“ სერიოზულ თავისტკივილად იქცეს“

გვ.3




## „ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება ვადამდელი არჩევნები დანიშნოს“



რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილი რთულ მდგომარეობაშია. მას აშკარად აწყობდა რევოლუციური სცენარი“



## „გიორგი ვაშაძის პოლიტიკის არ მესმის“

გვ.2



თაკო ჩარკვიანი: „კუნტრუშ-კუნტრუშითა და კეკლუცით ოლიგარქიასთან ბრძოლა ვერ წარმომიდგენია“

## „საარჩევნო კანონმდებლობის მიღება არჩევნებამდე ვერ მოესწრება“

გვ.4



მამუკა გიორგაძე: „მართული პოლიტიკური სპექტრი სპექტაკლებს პარლამენტში გააგრძელებს“

## „ოცნებამ“ ნაცმოძრაობას ხელისუფლებაში მოსვლის კარი გაუხსნა“

გვ.3



გიორგი გაჩეჩილაძე: „არჩევნები იდეალურადაც რომ ჩატარებულიყო, გაყალბებულად გამოცხადდებოდა“

ISSN 1987-9385

3 ალექსანდრე მოწერელია: „ქართული ოცნება“ აგონიაშია და რეპრესიებზე გადავიდა“

5 სროლა დიღმის სტადიონზე — საბურთალოელები დიღმელების წინააღმდეგ

5 ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული საშუალებების რეალიზაციისთვის სასჯელი მკაცრდება

6 ყაზანის გიმნაზიაში 19 წლის მამაკაცმა 11 ადამიანი მოკლა

# ნიკა მელიას სააკაშვილიც ებრძვის?!

## გია ხუხაშვილი: „მელიამ სერიოზული ნაბიჯები გადადგა. ის შეიძლება „ოცნების“ სერიოზულ თავისტკივილად იქცეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი გია ხუხაშვილი პასუხობს.

***– ბატონო გია, როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესების მიმართ? გვესმის შეფასებები, რომ ნიკა მელიას საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ ოპოზიციაში სულ სხვა მოცემულობა იქმნება. საუბრობენ გაერთიანებაზე, მერობის ერთიან კანდიდატზე, თუმცა არიან პარტიები, რომლებიც ამ ყველაფერს სკეპტიკურად უყურებენ. რა შეიცვალა და რამდენად წარმოადგენს საფრთხეს ნიკა მელია ხელისუფლებისთვის?***

– საქმე ის გახლავთ, რომ სანამ ის ციხეში იჯდა, რაღაცები აირია. თვითონ ნაციონალურ მოძრაობაშიც სერიოზული აზრთა სხვადასხვაობაა...

***– თუნდაც პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით, ხომ?***

– კი ბატონო. ასევე ოპოზიციური ერთიანობა, ეს თემატური ერთიანობაც დაირღვა და იქ სერიოზული პოლემიკა და დაპირისპირება დაიწყო, შესაბამისად, მისი მთავარი ტაქტიკური ამოცანებია პარტიაზე კონტროლის დაბრუნება, რაღაც ერთიანი დღის წესრიგის შემუშავება და მცდელობა იმისა, რომ ოპოზიციური თანხმობის მაგიდაც დააბრუნოს, როგორც ზეპარტიულმა ერთგვარმა გამაერთიანებელმა ფიგურამ. თუ მან ეს ორი ამოცანა შეძლო.

***– რამდენად გამოუვა?***

– გააჩნია, როგორ იმოქმედებს და რამდენად შორს არის ეს პროცესი წასული. პროგნოზებს ვერ გავაკეთებ, მაგრამ მას ეს ამოცანები აქვს. თუ ეს ამოცანები გადაწყვიტა, ის შეიძლება რეალურად გახდეს საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური მოთამაშე ქართულ პოლიტიკურ ბაზარზე.

***– საკუთარ პარტიაში ბევრი მოწინააღმდეგე ეყოლება, თუ არ შევა პარლამენტში, რადგან იკვეთებიან ლიდერები, რომლებიც ღიად აცხადებენ, რომ უნდა შევიდნენ.***

– სწორედ ამიტომ ახლა მნიშვნელოვანია პარტიაში წესრიგის დამყარება, გარკვეული დისციპლინის დამყარება და რაღაც ერთიან გადაწყვეტილებამდე მისვლა. ფიგურალურად რომ ვთქვათ, აქ ორი განსხვავებული ხაზია, პირობითად რომ ვთქვათ, მელიას ხაზი და მეორე, პირობითად – სააკაშვილის ხაზი. შიდაპარტიული კონკურენციაც მიმდინარეობს. იგივე როდესაც საუბარია ნიკა მელიას მერობის კანდიდატობაზე, ყველა ლაპარაკობს ამაზე, თვითონ მელიას გარდა. მელიას არც უთქვამს, ჯერ საერთოდ უნდა თბილისის მერობა თუ არა. საერთოდ გასაკვირი იქნება, პარტიის ლიდერი ქალაქის მერი რატომ უნდა გახდეს, თუ რიგგარეშე არჩევნებზე ვსაუბრობთ?!



***– ყველაზე ნაკლებად ამაზე მიფიქრია ციხეშიო, თქვა კიდეც მელიამ გუშინ, ანუ არ განიხილავს თავის თავს მერობის კანდიდატად?***

– დიახ, თვითონ არ განიხილავს და რატომღაც სხვები აქტიურად განიხილავენ. რატომ ახვევენ ამას თავზე?! ხომ არ არის ეს იმავე მიხეილ სააკაშვილის ინტერესებში, რომ თუ ნიკა მელია კენჭს იყრის მერად, შესაბამისად, ბუნებრივია, მას ველარ ექნება პრეტენზია პრემიერობაზე და მიშა ყველა შემთხვევაში მოგებული დარჩება. გახდება თბილისის მერი მელია და, ბუნებრივია, მას კონკურენტი პრემიერობის განაცხადზე აღარ ეყოლება, ხოლო თუ მელია მერი ვერ გახდება, ე.ი. პოლიტიკურად სუსტია და ამ შემთხვევაშიც, პრინციპში, სააკაშვილი დარჩება მოგებული.

### „არასერიოზულია, გვიმტკიცებენ, ძიუდოს ჩემპიონი, მოტეხილყურებიანი ძიუდოისტი უგულავამ ცემაო“

***– რას ნიშნავს, მოგებული დარჩება? სააკაშვილი თავად ხომ ვერ იქნება პრემიერი.***

– მოგებული დარჩება შიდაპარტიული ლიდერობისთვის ბრძოლაში. ან პრემიერი რატომ ვერ იქნება? არ აცხადებს ნაციონალური მოძრაობა, რომ პრემიერად მიშა სააკაშვილი უნდა?!

***– რაც წასულია, მას შემდეგ სულ მოდის სააკაშვილი და სულ პრემიერია...***

– ყოველ შემთხვევაში, ამ პარტიის მხრიდან ისმის, რომ მათ უნდათ, სააკაშვილი გახდეს პრემიერი.

***– ისედაც ყველა ამბობს, რომ ამ პარტიას ჰყავს ფორმალური მმართველი და ეს არის მიხეილ სააკაშვილი. ახლა უნდა გამოჩნდეს, მელიას გავლენები რამდენად ძლიერია?***

– დიახ, მელიამ უნდა დაიმკვიდროს პოზიციები. მან ნამდვილად შექმნა ახალი სახე ქართულ პოლიტიკაში და არ შეიძლება, ეს რომ არ დავინახოთ. მას საკმაოდ რთული ამოცანები აქვს გადასაწყვეტი და შევხედოთ, რას იზამს.

***– პარლამენტში შესული ოპოზიციის ნაწილი არ აპირებს, მელიას კანდიდატურას მხარი დაუჭიროს, განწირულია მარცხისთვისო.***

– ამ კაცს არ უთქვამს ჯერ, კენჭს ვიყრიო და ესენი რაზე ეჩხუბებიან, ვერ გავიგე! მელიას არ უთქვამს, მინდა მერობაო. რაზე ჩხუბობენ ესენი, რა უნდათ, ვერ გავიგე! მხარს არ დავუჭერთო, წინასწარ აცხადებენ და კაცს ჯერ არ უთქვამს, მერობა მინდაო. წინასწარ რომ უდგენენ რაღაცებს. ძალიან კომიკურად გამოიყურება ეს ყველაფერი. საკუთარ თავს ეჩხუბებიან.

***– ასეთი ფორმულირება შემოგვთავაზეს, ნიკა მელია მერად, ბადრი ჯაფარიძე – საკრებულოს თავმჯდომარედ და ხოშტარია – მოადგილედ.***

– ვერ გავიგე, ეს ხალხი რიგგარეშე არჩევნებისთვის იბრძვის, ხელისუფლების შეცვლისთვის თუ თბილისის მუნიციპალიტეტის დასაკომპლექტებლად. ეს არის ვილაცების აზრები, ჯერ ჩამოყალიბდეს საერთოდ სტრატეგია და მერე ვილაპარაკოთ. მე მგონია, რომ ნიკა მელიას მერად წარდგენა იქნება შეცდომა. რატომ მერად? ის არის ლიდერი და ლიდერი უნდა იყოს ორიენტირებული სახელმწიფო უმაღლეს ალმასრულებელ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# „გიორგი ვაშაძის პოლიტიკის არ მესმის“

## თაკო ჩარკვიანი: „კუნტრუშ-კუნტრუშითა და კეკლუცით ოლიგარქიასთან ბრძოლა ვერ წარმომიდგენია“

იაგო ნაცვლიშვილი

იქნება თუ არა ნიკა მელია ოპოზიციის საერთო კანდიდატი თბილისის მერად და ბადრი ჯაფარიძე საკრებულოს თავმჯდომარედ? წაუყენეს თუ არა ულტიმატუმი გიორგი ვაშაძეს? რას გამოიწვევს 15 მაისის არგამართვა ან მცირემასშტაბიანი აქცია და დააკარგვინებს თუ არა ეს ხმებს ოპოზიციას? – ამ და სხვა საკითხებზე „კანონი და სამართლის“ ლიდერი **თაკო ჩარკვიანი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს:

***– დღეს, როდესაც მელია გამოვიდა ციხიდან, რა ვითარებაა ოპოზიციაში? არის ასეთი ინფორმაცია, რომ მელია იქნება მერობის საერთო კანდიდატი, ბადრი ჯაფარიძე – საკრებულოს თავმჯდომარეობის, ხოლო ელენე ხოშტარია – მისი მოადგილეობის. რას იტყვით ამაზე და დაუჭერდით თუ არა სამივეს მხარს?***

– ამაზე საუბარი რეალურად არის და გიდასტურებთ ამ ინფორმაციას. კარგი ვარიანტია და მე ვთვლი, რომ, რაც მთავარია, საერთო კანდიდატი უნდა შეთანხმდეს ოპოზიციაში. დანარჩენზე ყველაფერზე შეიძლება მოლაპარაკება, მით უმეტეს, რომ ჩემი დამოკიდებულება ყველამ იცის მელიას მიმართ, ელენე ხოშტარიასადმიც კარგი განწყობა მაქვს და ალბათ ბატონ ბადრიზეც შეთანხმდებიან. ბადრიც გაწონასწორებული ადამიანია.

***– გიორგი ვაშაძე დასთანხმდება?***

– ვერ გეტყვით. მის განცხადებებს რომ ვისმენ, შესაძლოა, არ მოეწონოს ეს ვარიანტი. გახსოვთ მისი განცხადება, როდესაც მელია დაკავებული იყო, თქვა, ნაცმოძრაობის კანდიდატის დაყენება სწორი არ იქნებაო. აქედან ვმსჯელობ.

***– რამდენად სწორი იყო „სტრატეგია ალმაშენებლისა“ და ნაციონალური მოძრაობის ასეთი მწვავე დაპირისპირება?***

– ჩვენ ჯერ კიდევ ბლოკი გვქონდა, როდესაც სულ ვამბობდი, რომ არასწორი იყო ფრაზები – ნაცმოძრაობის გარეშე და ა.შ., არა მარტო გიორგისგან, არამედ სხვებისგანაც. იმავე „ლელოსგანაც“ მაქვს მოსმენილი. გიორგისთვის პირდაპირ მაქვს ნათქვამი, არ მესმის, რას ამბობ, შენი პარტია და შენი ბლოკი გაქვსმეთქი. ბლოკი გვქონდა ჩვენ – „კანონმა და სამართალმა“ და „ახალი საქართველომ“ დავა-



ფუძნეთ „სტრატეგია აღმაშენებელი“. როდესაც გაქვს ცალკე ბლოკი, ამაზე მეტად როგორ უნდა გაემიჯნო პოლიტიკურად?! დანარჩენს ხალხი გადაწყვეტს. ვის რას უბრძანებ? რა ბერკეტი გაქვს? ამიტომ ვერ ვიგებდი ამას ვერასდროს. მაგრამ პოლიტიკოსია და მისი საქმე და მისი სტრატეგიაა. მე არ მესმის ასეთი პოლიტიკა. თუ თავად ესმით, არ ვიცი. იცით, რომ ჩვენ ერთად აღარ ვართ ბლოკში.

***– ბევრი შევიდა პარლამენტში, მაგრამ ასეთ დაპირისპირებაში ნაციონალურ მოძრაობასთან ყველა არ შესულა. იგივე „ლელოც“ არ შესულა ასეთ დისკუსიაში. ეს ეჭვებს არ ბადებს?***

– ბოლოს არ ვიცი, მაგრამ „ლელოსთვისაც“ მიუღებელი იყო. მამუკა ხაზარაძემაც მწვავე განცხადება გააკეთა ზაფხულში.

***– არა, პარლამენტში შესვლის შემდეგ ვკითხულობ.***

– ახლა არ ვიცი. შესაძლოა, ახლა ნაკლებად აწყობთ. მე, მაგალითად, არ მესმის გიორგი ვაშაძის პოზიცია. ჩემთვის ეს გაუგებარია.

***– ასეთი ინფორმაცია მაქვს, რომ შესაძლოა, ვაშაძის მიმართ ულტიმატუმი დააყენოს დანარჩენმა ოპოზიციამ, რომ მან უარი უნდა თქვას საკუთარი კანდიდატურის დასახელებაზე იმისათვის, რომ ოპოზიციურ ერთობაში დარჩეს. გვიდასტურებთ?***

– მართლა არ ვიცი, ახლა თქვენგან გავიგე პირველად. რამე ინფორმაცია რომ მქონდეს, აუცილებლად გეტყოდით.

***– თუმცა, ალბათ, ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება.***

– ბუნებრივია, რაზეა საუბარი. წარმოდგენა არ მაქვს ასეთი ვარიანტის განხილვის.

***– დღეს 12 მაისია. რა ხდება 15 მაისს?***

– 15 მაისი იმ მასშტაბის აქცია რომ არ ყოფილიყო, რას მასშტაბითაც იყო ჩაფიქრებული, იმიტომაც სასწრაფო იყო ამ დოკუმენტზე ხელის მოწერა. თუ ნამდვილი ბრძოლა გინდა, კუნტრუშ-კუნტრუშითა და კეკლუცით ოლიგარქიასთან ბრძოლა ვერ წარმომიდგენია.

მე არ მესმის ამ ტიპის ამნისტიაზე ხელის მოწერა. ხომ ხედავთ, რომ ვერაფერს აკეთებენ და „ოცნებას“ დამნაშავეების გამოშვება უნდა.

***– ფაქტია, აქცია თუ ჩატარდება – გაცილებით მცირე მასშტაბით. როგორ გაიგებს ამას ამომრჩეველი, მაშინ როცა ზარ-ზეიმით გქონდათ დაანონსებული უზარმაზარი აქცია?***

– ამომრჩეველმა ისე უნდა გაიგოს, როგორც მე და თქვენ გავიგებთ. ჩვენ ამომრჩევლები ვართ.

***– მთლიანად ოპოზიცია ხომ არ დაკარგავს ამით ამომრჩეველს?***

– დიდი შანსია, მაგრამ ერთი ხიბლი აქვს ამ პროცესს – ამომრჩეველი დაინახავს, მომავალში ვინ იქნება ნამდვილი ოპოზიცია. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ეს ხელისმომწერები ვერ არიან ის მებრძოლები, რომლებსაც შეუძლიათ ბრძოლა. მე პოლიტიკურ ნაწილზე ვამბობ და ადამიანურს არ ვეხები, არავინ შეურაცხყოფად არ ჩათვალოს. საერთოდ, ოლიგარქიასთან ბრძოლა ყველაზე რთულია, იმიტომ, რომ ოლიგარქია სრულიად აღვირახსნილია.

გახსოვთ, რომ სააკაშვილი ორჯერ გადადგა. აბა, ოლიგარქი თუ გადადგება?!

***– არც სჭირდება ოლიგარქს გადადგომა, ისედაც კულისებს მიღმაა.***

– რა თქმა უნდა, მაგრამ მხოლოდ ამ შემთხვევას არ ვგულისხმობ, არამედ – ზოგადად ოლიგარქიულ სისტემას.

სააკაშვილი ორჯერ იმიტომ გადადგა, რომ დარჩა ინსტიტუციების პატივისმცემლად, პატივი სცა ინსტიტუციებს და ორჯერ გადადგა. ოლიგარქები ასე არასდროს აკეთებენ. რამდენიც არ უნდა ვისაუბროთ სააკაშვილის შეცდომებზე, ის დარჩა ინსტიტუციების პატივისმცემელ პოლიტიკოსად და ორჯერ გადადგა.

***– ერთხელ 2007 წელს გადადგა და მეორედ როდის გადადგა?***

– ვგულისხმობ იმას, რომ 2012 წელს მშვიდად წავიდა არჩევნების გზით, პატივი სცა არჩევნებს. აბა, ოლიგარქისგან რაიმე მსგავსს თუ დაინახავთ?! ფეოდალური წყობა ამ სისტემასთან შედარებით მონაგონია. ეს არის რუსული ოლიგარქიული სისტემა, რომელიც გამორიცხავს ინსტიტუტების პატივისცემას. ცალი ფეხი პარლამენტში მაქვს, მეორე – კაჭრეთში და მესამე – ზუგდიდში, ასე ბრძოლა არ გამოდის. თუ გინდა, ბოლომდე უნდა მიხვიდე.

ახლა ამბობენ, ჩვენი დამსახურებაა პოლიტპატიმრების გათავისუფლებაო. კი მაგრამ, თავშივე რომ გვეთქვა, შემოვდივართო, მაშინ გიორგი რურუას არ უშვებდნენ?

***– უშვებდნენ?***

– აბა რა! იყო ამაზე ლაპარაკი, ვის ატყუებენ?! შეიძლებოდა სახელმწიფოსთვის უკეთესი დოკუმენტის წამოღება, რომ ახლა წვალება არ დაგვჭირვებოდა. ვერაფერს ვაკეთებთ ამ დოკუმენტით. დაიწყო სასამართლოები. იყო გოკა გაბაშვილის ამბავი, იქნება ეს, იმიტომ, რომ დარჩა სასამართლო კლანი. 20-30 წლითო, წერია. ძალიან დახარვეზებული დოკუმენტია.

***– თქვენ არ შეხვალთ პარლამენტში?***

– ძალიან მყარად ვიხრები არშესვლისკენ.

***– თუ ყველა შევა?***

– ამ ხელისმომწერების შესვლის შემდეგ აღარ არის ერთპარტიული პარლამენტი. ბოიკოტი ამის გამო გავაკეთეთ, რომ დაგვეტოვებინა ერთპარტიული პარლამენტი. დღეს ბრძოლის ველი სხვანაირი გახდა. ამიტომ ვერავის გავამტყუნებ ნაცმოძრაობიდან, რომლებიც შესვლაზე ფიქრობენ, მაგრამ მე, როგორც ერთი პოლიტიკოსი და ერთი პარტიის თავმჯდომარე, მაინც უკომპრომისო ბრძოლისკენ ვიხრები. რეფორმები ისე არც ერთ ქვეყანას არ მოუპოვებია. ვცდილობ რაღაცებს – ვილაცები მეძხრობიან, „ევროპელებიდანაც“, იგივე ბატონი შალვა.

ბრძოლა რომ უკომპრომისო ყოფილიყო და პარლამენტში არ შესულიყვნენ, ჩამოშლილი იყო „ოცნება“. ასე იგებენ ბრძოლებს და საერთოდაც ბრძოლებს იდეალისტები იგებენ და არა თამასუქების მიმართულებით პოლიტიკანები.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი

**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 599-532-690
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: **akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: **axtaoba@mail.ru**

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება ვადამდელი არჩევნები დანიშნოს“

## რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილი რთულ მდგომარეობაშია. მას აშკარად აწყობდა რევოლუციური სცენარი“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო რამაზ, როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილება, შევლენ პარლამენტში?***

– ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში შევა, თუმცა აშკარაა, რომ მათ ჯერ მკაფიო სტრატეგია არ აქვთ, როგორი უნდა იყოს შემდგომი მათი პოლიტიკა. იყო რევოლუციური სცენარი, რომელიც ამ ეტაპისთვის აქტუალური აღარ არის. როგორც ჩანს, ჯერ თავად სააკაშვილსაც არ აქვს ჩამოყალიბებული, როგორი უნდა იყოს მათი მოქმედება უკვე პარლამენტში.

სააკაშვილი ახლა რთულ მდგომარეობაშია. მას აშკარად აწყობდა რევოლუციური სცენარი, მაგრამ კარგად დაინახა დასავლეთის მყარი პოზიცია, რომ საქართველოში დასავლეთი დესტაბილიზაციას არაფრის ფასად არ დაუშვებს. ამ ფონზე რევოლუციისკენ მოწოდება უკვე ძალიან ანტიდასავლური ნაბიჯი იქნებოდა და ამიტომ მოუწოდა პარლამენტში შესვლისკენ. ალბათ ახლა ფიქრობს, როგორ მიაღწიოს თავის მიზანს ისე, რომ დასავლეთი არ გაანაწყენოს.

***– სააკაშვილია პროცესების წარმმართველი თუ მელია?***

– რთული სათქმელია, რადგან ახლა ნაციონალურ მოძრაობაში სიტუაცია აჭრილია. სააკაშვილთან შეჯიბრება, ვფიქრობ, მაინც რთული იქნება მელიას მხრიდან.

***– ვერ ჩააჩოჩებს?***

– ვერა, ალბათ არ გამოუვა. სააკაშვილს უდავოდ აქვს ის ქარიზმა, რომელიც პოლიტიკოსს შეყვარებულად აქცევს ხოლმე. აქ პოლიტიკური ფაქტორი არაფერ შუაშია, როგორც იტყვიან ფსიქოლოგიაა თავში.






***– ნიკა მელიამ, თბილისის მერის არჩევნებზე არ მიფიქრიაო, მაგრამ რამდენად შეძლებს ოპოზიცია მერობის ერთიან კანდიდატზე შეთანხმებას? თან 43%-იან ბარიერთან არის მიბმული რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები.***

– ერთი, ძალიან გაუჭირდებათ, რადგან უკვე სხვადასხვა პარტია თავის ლიდერებსა თუ კანდიდატებს ასახელებს. მეორე, ნაციონალურ მოძრაობას თბილისი, ხელისუფლებაშიც რომ იყო, მაშინაც წაგებული ჰქონდა. რა გამოდის, ოპოზიცია მთელ ძალისხმევას მხოლოდ თბილისზე დებს?! მხოლოდ თბილისი არ არის 43%. ასე მარტივად არ დგას საკითხი.

მე არ გამოვრიცხავ, რომ ოპოზიციას იმ პროცენტის მიღებაც გაუჭირდეს, რომელიც გასულ არჩევნებზე აჩვენა. ერთი მხრივ, ადგილობრივი არჩევნები სრულიად განსხვავებული არჩევნებია საპარლამენტო არჩევნებისგან. განსხვავებული სპეციფიკაა და მეორე, ახალი მოთამაშეები შემოდიან პოლიტიკურ ბაზარზე.

***– ლევან ვასაძე, გიორგი გახარია ხმებს ოპოზიციას წაართმევენ თუ „ქართული ოცნების“ ბაზაზე იმუშავებენ?***

– დიახ. რა თქმა უნდა, ორივე „ქართულ ოცნებას“ წაართმევს ამომრჩეველს და ამიტომაც არ გამოვრიცხავ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვადამდელი არჩევნები დაუშვას. დაუშვას, რათა ბევრად უფრო ძლიერი პოზიციებით მოვიდეს და ეს ოპოზიცია ან საერთოდ ვერ შევიდეს პარლამენტში, ან ძალიან სუსტად შევიდეს.

რაც შეეხება ლევან ვასაძესა და გიორგი გახარიას, ჯერ მკაფიო სურათი მხოლოდ ლევან ვასაძესთან დაკავშირებით არსებობს. მან უკვე განაცხადი გააკეთა და გასაგებია, ვისზე გააკეთებს ის აქცენტს.

***– ვინ შეიძლება იყოს მისი ამომრჩეველი? საზოგადოების კონსერვატორი ნაწილი და ეკლესიის მრევლის ნაწილი?***

– რა თქმა უნდა. საქართველოში ეს მიმართულება მით უფრო მომგებიანია. მეორე, არ გამოვრიცხავ, რომ ვასაძისკენ წავიდეს „პატრიოტთა ალიანსის“ ამომრჩეველიც, რადგან, როგორც ვხედავთ, დღეს ისინი გაჩერებული არიან. მათ უარი თქვეს პარლამენტში შესვლაზე.

***– თითქოს ამ ფლანგზე ვასაძის გამოჩენით ჩანაცვლება მოხდა?***

– ვერ გეტყვით. რამდენიმე დღის ფაქტია ვასაძის პოლიტიკაში შემოსვლა, „პატრიოტთა ალიანსი“ კი კარგა ხანია არ აქტიურობს. ცხადია, ვასაძე ეცდება, ამ ხმებზე იმუშაოს და ეს ფლანგი დაიკავოს.

***– როგორ ფიქრობთ, გახარიას რატომ აგვიანდება განაცხადის გაკეთება, რას შეიძლება ელოდებოდეს?***

– მართლაც დააგვიანდა, მაგრამ, არ გამოვრიცხავ, რომ ის ერთგვარი პოლიტიკური მოზიაკის დალაგებას ელოდება. ამ დაგვიანებით გახარიას ჯერ არაფერი წაუგია. ვასაძის შემოსვლით ოპოზიციური ძალების სპექტრი გამოიკვეთა. ამ სპექტრში გახარია კიდევ უფრო ნათლად დაინახავს თავის ადგილს.

# ნიკა მელიას სააკაშვილიც ებრძვის?!

დასაწყისი მე-2 გვერდზე

თანამდებობაზე და არა მუნიციპალიტეტის დაკომპლექტებაზე. კი, თბილისი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ შემთხვევაში წამგებიანი იქნება მელიასთვის.

***– რადგან ასე აქტიურად გადაერთვნენ ადგილობრივ არჩევნებზე, ვადამდელი აღარ უნდათ?***

– არ ვიცი, ყველა თავისას ლაპარაკობს. მათ არა აქვთ ჯერ საერთო სტრატეგია, ნაწილი ერთს ამბობს, ნაწილი – მეორეს. ელისაშვილი ამბობს, მელიას შანსი არა აქვსო. ისეთი გაჯგიმული ამბობს, თითქოს თვითონ ჰქონდეს რამე შანსი. აი, ამ საგიჟეთში ვართ და რომელ ერთზე გავაკეთო კომენტარი?!

***– რამდენად გამოვა ეს ერთობა?***

– რა გითხრათ, შანსი ყოველთვის არის. ეს არის ახლა ნიკა მელიას სამუშაო, იმიტომ რომ ის არის ერთადერთი გამაერთიანებელი ამ ტოტალურ კონფრონტაციაში, თუ ის შეძლებს ამას და გააერთიანებს, ხომ კარგი, თუ ვერ შეძლებს და დავინახავთ, რომ ვერ შეძლო.

***– რა იქნება უმჯობესი ნაციონალური მოძრაობისთვის, შევიდეს პარლამენტში თუ ქუჩიდან გააგრძელოს ბრძოლა?***

– რა თქმა უნდა, შევიდეს, აქ ორი აზრი არ არის. სახელმწიფოებრივად ესე ჯობია, რომ კრიზისმა გადაინაცვლოს პარლამენტის კედლებში და არ დარჩეს ქუჩაში, იმიტომ რომ ქუჩის კრიზისი აზიანებს სახელმწიფოს. ჩვენ ხომ მარტო ამათი იწილობიწილოს პრობლემა არა გვაქვს, ქვეყანას უამრავი პრობლემა აქვს: სოციალური, ეკონომიკური, პანდემია, ათასი უბედურება გვჭირს. სადამდე უნდა გაგრძელდეს ეს რყევები?! ამ პროცესში სააკაშვილი და მისი ფრთაა რადიკალური. მათ უნდათ, დილით დაიწყონ და საღამოს დაამთავრონ. მელია რომ ჯერ საკუთარ პოზიციას არ აფიქსირებს პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით, სწორს აკეთებს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ჯერ მუშაობა უნდა ჩაატაროს. იცის, რომ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მან თავიდანვე რომელიმე მხარე რომ დაიჭიროს, ამით, შესაძლოა, უფრო მეტად გააღრმაოს ეს დაპირისპირება. ამიტომ ის შეეცდება, მოელაპარაკოს ყველას და ერთიანი საერთო გადაწყვეტილება მიიღონ.

***– როცა თავად მელიას არ უთქვამს თანხმობა მერობაზე, რატომ ატყდა ამხელა აჟიოტაჟი, ეს ვის ინტერესებშია?***

– არ ვიცი, რა ხდება, თვითონ ნაციონალურ მოძრაობაშიც მხოლოდ ამაზე ლაპარაკობენ ისე, რომ მელიასთვის არც უკითხავთ. მელიას ბედს რატომღაც განსაზღვრავენ სხვები. რა უნდა გააკეთოს მელიამ, ციხეში როდის უნდა შევიდეს, როდის გამოვიდეს, სხვებმა იციან ეს მასზე და მის მშობლებზე უკეთესად, რაც ძალიან კომიკურად გამოიყურება.

***– შეძლებს მელია, მოიშოროს ეს მართულის იმიჯი?***

– კი, უნდა შეძლოს, მაგრამ მას სჭირდება დრო. ის ხომ უნდა დაელაპარაკოს ყველას. თუ ის არის გამაერთიანებელი და, თუ ამის ამბიცია აქვს, უნდა იქცეოდეს ძალიან ფრთხილად. მან წინასწარ საკუთარი პოზიცია არ უნდა დააფიქსიროს, ყველას უნდა დაელაპარაკოს და მხოლოდ ამის შემდეგ ისაუბროს. ძალიან სწორად იქცევა, რომ წინმსწრებ განცხადებებს არ აკეთებს.

***– თუკი მელიამ შეძლო და დაძლია ეს პრობლემები, რამდენად შეიძლება, ის იქცეს „ქართული ოცნების“ თავისტკივილად?***

– „ქართული ოცნების“ თავისტკივილი ის უკვე არის. ეს ჩანს კიდევაც „ქართული ოცნების“ მოქმედებებში. რა ზომისა და რა ხარისხის თავისტკივილია, ეს უკვე სხვა საკითხია. დღეის მდგომარეობით, შეიძლება, ეს არ იყოს კრიტიკული თავისტკივილი, მაგრამ ხვალ და ზეგ გახდეს. შიშები ამოქმედებს დღეს ხელისუფლებას. მათ გათიშული აქვთ ინტელექტი და შიშები და ბოღმა კარნახობთ დღის წესრიგს. თუნდაც ის, სათადარიგო კარიდან რომ გამოუშვეს მელია, ეს ხომ სიბრიყვისა და ბოღმის გამოხატულება იყო. პოლიტიკურად ამით ღიმილი ისევ თვითონ დაიმსახურეს. ეტყობა, იმდენად ეშინიათ, რომ საქციელწამხდრები არიან. თუ ასე გააგრძელეს და მელიამ სერიოზული ნაბიჯები გადადგა, ის, შეიძლება, „ოცნების“ სერიოზულ თავისტკივილად იქცეს.

***– გიგი უგულავასთან დაკავშირებით რას იტყვით, რატომ განახლდა მისი საქმე?***

– რა უნდა გითხრათ, კომიკური საქმეა, პირდაპირ გეუბნებით. გვიმტკიცებენ, რომ ძიუდოს ჩემპიონი ცემა გიგი უგულავამ. ძალიან არასერიოზულად მიმაჩნია ეს საქმე. სხვა რა გითხრათ. მოტეხილყურებიანი ძიუდოისტი უჩივის უგულავას, მცემაო. ძალიან არასერიოზულია.

# „ოცნებამ“ ნაცმოძრაობას ხელისუფლებაში მოსვლის კარი გაუხსნა“

## გიორგი გაჩეჩილაძე: „არჩევნები იდეალურადაც რომ ჩატარებულიყო, გაყალბებულად გამოცხადდებოდა“

გულიკო ბალაძე

ვინ დადგა პოლიტიკური სპექტაკლები საქართველოში? რამ შეაშინა ევროპელები?

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, მწვანეთა პარტიის ლიდერი **გიორგი გაჩეჩილაძე** პასუხობს.

***– ბატონო გიორგი, არსებულ ვითარებას როგორ აფასებთ?***

– სამწუხაროა, რომ ქვეყანაში პანდემიით გამოწვეულ სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს პოლიტიკური კრიზისიც დაერთო. პოლიტიკური კრიზისი ხელოვნურადაა შექმნილი, რათა ობიექტურად შექმნილი სოციალური კრიზისი გამოყენებულ იქნეს ქვეყანაში დესტაბილიზაციისა და არეულობის მოსაწყობად.

ფაქტობრივად, აქეთ მიექანება ყველაფერი. მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ სოციალური კრიზისის დროს ყოველთვის თავს წამოყოფს ულტრანაციონალისტური მიმართულებები. მაგალითად, ბოლშევიკური რევოლუცია მოხდა სოციალური კრიზისის ფონზე. პირველი მსოფლიო ომი იყო, მთელი რუსეთი გამათხოვრდა. ამან გამოიწვია ბოლშევიკების მოყვანა ხელისუფლებაში, სისხლისღვრა, ინტელიგენციის განადგურება. არავის საღი აზრი იქ არ აინტერესებდა.

ამ ნიადაგზე მოხდა გერმანიის ფაშიზმის აღორძინებაც. გერმანიაში იყო ძალიან სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი. ამ ფონზე ნაციონალისტური განწყობები წინ წამოვიდა, რაც გამოიყენა ავადმყოფმა ჰიტლერმა და მისმა კრიმინალურმა დაჯგუფებამ. მათ საკუთარი სახელმწიფო განადგურების პირამდე მიიყვანეს.

***– ეს მიმართულებები ჩვენთანაც გააქტიურდა?***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ალექსანდრე მოწერელია: „ქართული ოცნება“ აგონიაშია და რეპრესიებზე გადავიდა“

უმრავლესობიდან გასული დეპუტატის, გიორგი გახარიას გუნდის წევრის, ალექსანდრე მოწერელიას განცხადებით, „ქართული ოცნება“ ნაციონალურ მოძრაობას დაემსგავსა და რეპრესიები დაიწყო.



ამის შესახებ მოწერელიამ პარლამენტში ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც გორსა და ხაშურში მერის მოადგილეების მხრიდან თანამდებობების დატოვებას გამოეხმაურა.

– „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო პოლიტიკური რეპრესიები. არ მალავენ ამას. ჯერ გორის მერმა განაცხადა ამის შესახებ, შემდეგ – პარლამენტის წევრმა „ქართული ოცნებიდან“. მოვლენები დაიწყო შიდა ქართლში, გაგრძელდა სამეგრელოში და შეეხო არა მხოლოდ თანამდებობის პირებს, არამედ ფოთში მელიორაციის სამსახურის 72 წლის დამსახურებულ მუშაკსაც, რომელიც აიძულეს, წასულიყო სამსახურიდან. ეს ყველაფერი ხორციელდება პარტია „ქართული ოცნებისა“ და ცენტრალური ხელისუფლების ზეწოლით მუნიციპალიტეტების არჩეულ მერებზე.

ეს გზა არის ის რადიკალური დღის წესრიგი, რომელზეც ვსაუბრობდით. „ქართული ოცნება“ ემსგავსება ნაციონალურ მოძრაობას ამ გადაწყვეტილებებით და, რა თქმა უნდა, ეს მათ სიკეთეს ვერ მოუტანს. ქართველმა ერმა დევნასა და რეპრესიებს უარი განუცხადა. ამდენად, მინდა, მოვუწოდო „ქართულ ოცნებას“, ნუ დაემსგავსება წინამორბედს და შეწყვიტოს პოლიტიკური რეპრესიები. ეს ნამდვილად ვერ მიგვიყვანს ევროკავშირში. ეს საჯარო მოხელეები კეთილსინდისიერად ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობებს. იყვნენ ჩვენი თანამოაზრეები, თანამოაზრეობის გულისთვის ადამიანების სამსახურიდან იძულებით გაშვება დაუშვებელია. თუ ამ ადამიანებს ვინმემ რამე პროკლამაციები უპოვა, შეუძლიათ, წარმოადგინონ. მათთან არანაირი კონსულტაციები არ ყოფილა.

როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ აგონიაშია. ძალიან ეშინიათ ახალი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბების, შესაბამისად, მათ დაიწყეს პოლიტიკური ნიშნით დევნა, – განაცხადა მოწერელიამ.

გუშინ, 11 მაისს, დილით, გორის მუნიციპალიტეტის მერის ორმა მოადგილემ თანამდებობების დატოვებაზე განცხადება გააკეთა. ისინი გიორგი გახარიას გუნდს უერთდებიან.

თანამდებობა დატოვა ასევე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ.



**შევიძენ**
**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**
**ტელ.: 598-43-98-57**

# „საარჩევნო კანონმდებლობის მიღება არჩევნებამდე ვერ მოესწრება“

## მამუკა გიორგაძე: „მართული პოლიტიკური სპექტრი სპექტაკლებს პარლამენტში გააგრძელებს“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოში შექმნილი მდგომარეობის ზოგიერთ ასპექტზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის ლიდერ მამუკა გიორგაძეს.**



***– როგორ აფასებთ საქართველოს პოლიტიკაში დღეისათვის არსებულ მდგომარეობას? აქტიური პოლიტიკური სპექტრი ისევ რიხიან განცხადებებს აკეთებს, საზოგადოების უდიდესი ნაწილი კი დაბნეულია.***

– დაბნეული და გაკვირვებული კია, მაგრამ საზოგადოება აღმოჩნდა კარგი მაყურებელი. ხალხი აღმოჩნდა კარგი აუდიტორია იმ პოლიტიკური სპექტაკლებისა, რომლებიც საქართველოში თამაშდება.

***– გულისხმობთ ბოლო ნახევარ წელიწადს?***

– მარტო ეს რომ იყოს, რა გვიჭირდა. არჩევნების შემდეგ რუსეთმა საქართველოში გააქტიურა მართვადი ქაოსი. ასეთი რამ პირველად არ ხდება. ბოლო 30 წელიწადია, ამ მდგომარეობაში ვიმყოფებით. პოლიტიკური სპექტრი ამის შესაბამისად მოქმედებს და მონაწილეობს დრამატულ სპექტაკლებში. ამ სპექტაკლებში ბევრი ემოცია, ბრძოლა და დაპირისპირებაა, თემები – არაარსობრივი. არ მიმდინარეობს კამათი სახელმწიფოებრივ საკითხებზე, ნამდვილ პრობლემებზე. ყოველივე ეს იღებს მარაზმის სახეს და მოსახლეობას უჩენს უპერსპექტივობის განცდას.

***– წინანდელ პერიოდთან შედარებით, სიახლეც ხომ არის? დასავლეთის ჩართვა.***

– დასავლეთის ჩართვა არის. ეს სიახლე გამოიწვია თემის აქტუალობამ. ვგულისხმობ საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. 10 წლის წინ ვინ წარმოიდგენდა, რომ აშშ-ის სამხედრო გემები გამოჩნდებოდნენ შავ ზღვაზე. გემები ლამის ფოთთან არიან. შავი ზღვის აუზის სხვა სახელმწიფოებშიც იკვეთება აშშ-ისა და ნატოს როლის ზრდა. ადრე შავი ზღვა თურქეთ-რუსეთის დახურული ზღვა იყო. საქართველო გახდა უფრო აქტუალური დასავლეთისათვის. ამ სიტუაციაში ჩნდება კითხვა – არის საქართველო დასავლეთის პარტნიორი? გვინდა ჩვენ ეს პარტნიორობა?

***– საზოგადოების უმრავლესობას უნდა.***

– რასაკვირველია, საზოგადოებას უნდა. საკითხავია, უნდა თუ არა ეს პოლიტიკურ სპექტრს, რომელიც თავს პროდასავლურად ასაღებს! ეს პოლიტიკური სპექტრი ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ვერ დაწინაურდებოდა. ეს ხალხი წარმატებას აღწევს მონოპოლიზაციით. ყველა მათგანი გულში პრორუსი არ არის, მაგრამ ყველანი არიან რუსეთის მიმდევრები თავიანთი ცხოვრების წესით. რომ იყოს ჯანსაღი კონკურენცია და დემოკრატიული გარემო, სააკაშვილი ვერანაირად ვერ გამოვიდოდა წინა პლანზე. ის ავლენს თავის ენერგიას მონოპოლიურ არადემოკრატიულ სივრცეში. ამ სიტუაციას გარედან არეგულირებენ.

***– კონკურენტული გარემოსთვის აუცილებელია სამართლიანი არჩევნები?***

– ცხადია. ამას ესაჭიროება კარგი საარჩევნო კანონი. 30 წელიწადია, ნორმალური კანონი ვერ მიიღეს, უფრო სწორად, არ უნდოდათ და არ მიიღეს.

***– შარლ მიშელის დოკუმენტის ერთ-ერთი პუნქტი საარჩევნო ცვლილებებია. არ გაქვთ იმედი, რომ ამ რეფორმას გაატარებენ?***

– სამწუხაროდ, არ მაქვს იმედი. არჩევნები გაიმართება ოქტომბერში. სექტემბრიდან საარჩევნო კამპანია იქნება. აგვისტოში არჩევნებს გამოაცხადებენ. რა დარჩა? ივნისი-ივლისი. საარჩევნო კანონმდებლობის მიღება არჩევნებამდე ვერ მოესწრება. ამაზე ნორმალურად არც კი უმსჯელიათ. მთელი ყურადღება სხვა საკითხებზე იყო გადატანილი. არ უარვყოფ, რომ ადამიანის (ნიკა მელიას) დაკავება და გათავისუფლება საყურადღებოა, მაგრამ ამან ყველაფერი ხომ არ უნდა გადაფაროს და წაშალოს! ყველა არჩევნების წინ არის ხოლმე საარჩევნო ვიშვიში რომელიმე ერთ ან ორ მესამეხარისხოვან წვრილმანზე. არადა, საარჩევნო კოდექსში ნაღმებია ჩადებული და ეს ნორმალური არჩევნების ჩატარების საშუალებას არ იძლევა. ბოლო არჩევნების წინ, იმის მაგივრად, რომ ნაღმებისთვის მიეხედათ, ომი იყო ატეხილი პროპორციულ არჩევნებზე. უამრავი დრო გავიდა კამათში, პროპორციული უნდა იყოს არჩევნები, შერეული თუ მაჟორიტარული.

***– ოქტომბერში ადგილობრივი არჩევნებია. იქნებ საპარლამენტო არჩევნებისთვის მოესწროს ცვლილებები.***

– კარგი იქნება, ასე მოხდეს. მე 30-წლიანი პრაქტიკა მალაპარაკებს იმას, რასაც ვამბობ. ამ ხნის განმავლობაში არც ნორმალური საარჩევნო კოდექსი გველირსა, არც სამართლიანი სასამართლო და არც მიწის კოდექსი. ახლანდელი მდგომარეობა მანიპულაციებისა და მოსახლეობის მოტყუების საშუალებას იძლევა.

***– დასავლეთი მარტო შავ ზღვაზე ხომ არ გააქტიურებულა. დასავლეთი უკვე საუბრობს საარჩევნო ცვლილებების აუცილებლობაზე საქართველოში.***

– რასაკვირველია, დასავლეთის ინტერესი გამოკვეთილია. ჩვენ უნდა ვიყოთ მზად თანამშრომლობისათვის. უარი ცუდად შემოგვიბრუნდება. ნოე ჟორდანიამ ბრიტანელებს თანამშრომლობაზე უარი უთხრა. მანვე ინდომა გერმანული ჯარის გაყვანა. მას შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში უმთავრესად ასეთი ხალხი იყო. დასავლეთის რეკომენდაციები არსებობს, მაგრამ, პირველ რიგში, უნდა შევიგნოთ, რომ ნორმალური არჩევნები გვინდა. ამის გამო საზოგადოებამ ზეწოლა უნდა მოახდინოს ხელისუფლებაზე. საზოგადოებაზე ბევრია დამოკიდებული. ჩვენს გასაკეთებელს სხვა ვერ გააკეთებს.

***– საზოგადოებაზე იმედს ბევრი ამყარებს, მათ შორის, ახალი და პოტენციური მოთამაშეები.***

– რა თქმა უნდა. ანონსდება ახალი მოძრაობები, პარტიები. ხალხის ყურადღება ხომ უნდა გაფანტონ!

***– ფიქრობთ, რომ ახალ თუ განახლებულ სახეებს ყურადღება გადააქვთ?***

– რასაკვირველია. ცრუ მოლოდინებიც უნდა შეიქმნას, შემდეგ ნიჰილიზმი დაითესოს. ეს ახლებიც სპექტაკლის პერსონაჟები არიან. პიესის ახალ მოქმედებაში მთავარი პერსონაჟების გვერდით რომ ჩნდებიან ახალი დროებითი გმირები, ისეა ამათი საქმე.

***– ნიჰილიზმი რის მიმართ უნდა გაუჩნდეს ხალხს?***

– ხალხს უნდა გაუჩნდეს უპერსპექტივობის განცდა, ასევე – სკეპტიციზმი დასავლეთისადმი. ახალი სახეები პოლიტიკაში შემოჰყავთ და მერე გაჰყავთ. ჟურნალისტებიც გამხდარან პოლიტიკოსები, მათაც მიუღიათ მონაწილეობა სპექტაკლებში. შემდეგ ისინი ჟურნალისტიკას დაუბრუნდნენ და გვმოძღვრავენ.

***– პარლამენტში რიგორ განვითარდება მოვლენები?***

– მართული პოლიტიკური სპექტრი სპექტაკლებს პარლამენტში გააგრძელებს. აქ ორი შრეა გამოსაყოფი: უშუალოდ პოლიტიკური სპექტაკლი და პიროვნული კონკურენცია და კონფლიქტები. ბრძოლა წავა როლებზე და ა.შ. კონკურენცია ნამდვილია. პერსონაჟები მიბმული არიან სპეცსამსახურებსა და კლანებზე. ისინი ეცდებიან, არ შეასრულონ დანაპირები და გააჩინონ იმის განცდა, რომ დასავლეთს არაფერი შეუძლია. დანერგავენ აზრს, რომ 1918-21 წლებში მიგვატოვა დასავლეთმა და ახლაც იგივე მეორდება. ახლა სხვა მდგომარეობაა. დასავლეთი არ იტყვის უარს ჩვენთან თანამშრომლობაზე. საზოგადოება უნდა გახდეს დასავლეთის პარტნიორი. თუ დასავლეთმა კავკასიიდან რუსეთს უჩვენოდ დაახევინა, მაშინ სხვა პრობლემები შეგვექმნება. აქამდე არ უნდა მივიყვანოთ საქმე. დასავლეთს პარტნიორობა უნდა გავუწიოთ.

# „ოცნებამ“ ნაცმოძრაობას ხელისუფლებაში მოსვლის კარი გაუხსნა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– ამ ფონზე ჩვენთანაც სწორედ ნაციონალისტურმა მიმართულებებმა წამოყო თავი. ეროვნულმა მიმართულებამ კი არა (ეროვნული იდეა სულ სხვა რამ არის. ეროვნული იდეა ქვეყნის ეკონომიკური და საქართველოსთვის დამახასიათებელი სულიერების გაძლიერებაა), ულტრანაციონალისტურმა მიმართულებებმა.

ყველაფერი გამიზნულია ეკონომიკური კოლაფსის მოსახდენად. ეკლესიის წინააღმდეგ მიმდინარეობს გამალებული ომი. ასეთი სიტუაციით ყოველთვის სარგებლობს შავბნელი გარე ძალა, ანუ სახელმწიფოს სახით რომ არის წარმოდგენილი ჩვენ ჩრდილოეთით და ამისთანა სიტუაციით ყოველთვის სარგებლობს, ცდილობს, ვითარება უფრო გაამწვავოს და წარმოაჩინოს ნაციონალისტური მიმართულებები, რომლებიც შემდეგ სოციალურ პრობლემებს უფრო ამწვავებს, რადგან ყველაფრის ბლოკირება ხდება და საქმე ქვეყნის იზოლაციამდე მიდის, ინვესტიციები აღარ შემოდის.

***– უფრო რომ ჩავუღრმავდეთ, ამის მიზეზი რა არის?***

– 2020 წლის არჩევნების შედეგები. არჩევნებმა სწორედ ამას მისცა ბიძგი, განა იმიტომ, რომ არჩევნები ისე გაყალბდა, სხვა შედეგი შეიძლება დამდგარიყო, გადაცდომებიც იყო და ხელოვნური ჩარევებიც, მაგრამ ისეთი არაფერი მომხდარა, რომ ხელისუფლება შეცვლილიყო. შეიძლება, 3-4% ცდომილება ყოფილიყო, მაგრამ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც მაინც იგივე რჩებოდა.

უბრალოდ, 2020 წლის არჩევნებმა ერთადერთი ცუდი შედეგი გამოიწვია იმ კუთხით, რომ მმართველი პარტია მარტო დარჩა, რაც უზარმაზარი შეცდომა იყო. ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მის გვერდით იდგნენ, ამ არჩევნების დროს დისტანცირებული აღმოჩნდნენ.

***– ანუ მწვანეთა პარტია და სხვები.***

– „ოცნებასთან“ უამრავი პარტია იყო, ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, კონსერვატორები და სხვები. არასწორმა დაგეგმვამ გამოიწვია ის, რომ დღეს მმართველი პარტია მარტოა, ხოლო აქეთა ფლანგზე უზარმაზარი გაერთიანებაა.

***– ერთხელ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მწვანეთა პარტიასა და მის ლიდერთან „ოცნება“ კარგად თანამშრომლობდა. მერე რატომ დაიგეგმა ისე, რომ „ქართული ოცნება“ მარტო დარჩენილიყო?***

– ძნელი სათქმელია. მწვანეთა პარტიისთვის ძალიან ადვილი იყო 1%-იანი ბარიერის გადალახვა. მწვანეთა პარტიას 26 საკრებულოში საქართველოს მასშტაბით ფრაქცია ჰყავდა, წარმოგიდგენიათ?

***– მაშინ 1%-იანი ბარიერი რატომ ვერ გადალახეთ?***

– ყველა მწვანეთა პარტიის წევრი იყო, დაახლოებით 100-მდე კაცი. აქედან უმრავლესობა სხვადასხვა სოფლის მაჟორიტარი გახლდათ. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ამ ხალხმა, არა თავისი ნებით, მწვანეთა პარტიას უღალატა.

***– როგორ?***

– აღარ გავშიფრავ, შედეგიც შესაბამისი მივიღეთ.

***– წინასწარი საუბრის დროს მითხარით, რომ ჩვენ პოლიტიკური სპექტაკლების მოწმე გავხდით 2020-2021 წლებში. პოლიტიკური სპექტაკლი რაში მდგომარეობს და ვინ დადგა?***



– პოლიტიკური სპექტაკლი გარედან დაიდგა. წინასწარ დაიგეგმა ის, რაც მმართველმა პარტიამ ვერ გაითვალისწინა.

***– უცხოეთში დაიგეგმა?***

– დიახ, ჩრდილოეთში დაიგეგმა პოლიტიკური სპექტაკლი ქვეყნის დისკრედიტაციისა, რომელთან დაკავშირებით წინასწარ გავაფრთხილე ოქტომბრის დასაწყისში ჩემი მეგობრები უმრავლესობიდან (ჩემი გამოსვლა დევს ჩემს ფეისბუქგვერდზე), რომ როგორი შედეგითაც უნდა დამთავრებულიყო 2020 წლის არჩევნები, ნაცმოძრაობა და მასთან აფილირებული პოლიტიკური ორგანიზაციები არჩევნებს ყველა შემთხვევაში გაყალბებულად გამოაცხადებდნენ.

***– ასე ჰქონდათ დაგეგმილი?***

– წინასწარ მოამზადეს ნიადაგი. 30 პოლიტიკური პარტია გაიერთიანეს, მნიშვნელობა არ აქვს, ერთკაციანი პარტიები იყო თუ 100-კაციანი, 30 ძალიან მნიშვნელოვანი რიცხვია. არჩევნები გაყალბებულად რომ გამოცხადდებოდა, პარლამენტში შესვლაზე უარს იტყოდნენ. ამ გეგმის თაობაზე ოფიციალურად მიწერილიც მაქვს ყველასთვის.

არჩევნები იდეალურადაც რომ ჩატარებულიყო, გაყალბებულად გამოცხადდებოდა, პარლამენტში შესვლაზე უარს იტყოდნენ და შექმნიდნენ პოლიტიკურ კრიზისს ქუჩაში დემონსტრაციების საშუალებით. ეს იყო პანდემიის ფონზე. სინამდვილეში ასეც მოხდა.

***– რატომ არ გაითვალისწინეს?***

– გულუბრყვილოდ იფიქრეს. 8 წლის განმავლობაში ვაფრთხილებდი, რომ ნაცმოძრაობა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური ორგანიზაციები რუსულ რბილ ძალას წარმოადგენენ და მათ ერთი გეგმა აქვთ, არ აინტერესებთ არც არჩევნები, არც – არაფერი. არ დამიჯერეს და ისე გააკეთეს, კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებები შეიტანეს, რომ, ფაქტობრივად, საქართველოში ორპარტიულ სისტემას აკეთებდნენ.

***– კერძოდ?***

– კონსტიტუციაში შეიტანეს ცვლილება და თქვეს, 2024 წლისთვის 5%-იანი ბარიერი იქნებაო. ყველა გამოკითხვით, მხოლოდ ორ პარტიას შეეძლო 5%-იანი ბარიერის გადალახვა, „ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას. უფრო უარესს გეტყვით – ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება მოხდებოდა მხოლოდ ნაცმოძრაობისა და „ქართული ოცნების“ მიერ. პარტიები არ დაასახელეს. ჩაწერეს, რომ საარჩევნო კომისიას დააკომპლექტებდა ის პარტია, რომელიც პარლამენტში ფრაქციას შექმნიდა და ფრაქციის წევრთა რაოდენობა 7 კაცამდე გაზარდეს.

მხოლოდ ნაცმოძრაობას შეეძლო ფრაქციის შექმნა. ხომ ხედავთ, ახლა ფრაქცია ვერავინ შექმნა. ახლა ნაცმოძრაობა რომ შევიდეს, მხოლოდ მას ექნება ფრაქციის შექმნის საშუალება.

***– მგონი, ახლა უნდათ ფრაქციის რაოდენობის შემცირება.***

– ეს ახლა, თორემ, რაც აქამდე იყო, იმაზე ვსაუბრობ – ორპარტიული სისტემისთვის ყველაფერი მომზადებული იყო. გარდა ამისა, თვითმმართველობის არჩევნების (რომელიც შემოდგომაზე ჩატარდება) შესახებ კანონიდან ამოიღეს მუხლი, რომლის მიხედვითაც თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებული პარტია, რომელიც ბარიერს გადალახავდა, გახდებოდა კვალიფიციური სუბიექტი, ბიუჯეტიდან დაფინანსებას მიიღებდა, მედიასთან უფასო რეკლამა და უბნებზე დამკვირვებლების დაფინანსება ექნებოდა.

ახლა პარტიამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 100%-ც რომ მიიღოს, კვალიფიციური სუბიექტი ვერ გახდება.

***– ეს რატომ გააკეთეს?***

– იმიტომ გააკეთეს, რომ ორპარტიულობა შენარჩუნებულიყო და ამ სისტემას არავინ შესტენვოდა თვითმმართველობის არჩევნების გამო.

***– ვინ იყო ამის ინიციატორი და ვის აწყობდა ნაცმოძრაობასთან თანამშრომლობა?***

– არ ვიცი. იმიტომ არ დამიჯერეს, იფიქრეს, ნაცმოძრაობა ამისთანა რაღაცაზე უარს არ იტყოდა. ფაქტობრივად, პერსპექტივაში ნაცმოძრაობას ხელისუფლებაში მოსვლის კარი გაუხსნეს.

***– ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში მოსვლაზე პრეტენზიას ყოველთვის ხმამაღლა აცხადებდა. რატომ დასთანხმდა „ოცნება“ ამას?***

– რაც ყველაზე საინტერესოა, ნაცმოძრაობამ „ოცნება“ გადააგდო. გრიგოლ ვაშაძე რომ წავიდა, ეს კიდევ სხვა თემაა. რადგან ნაცმოძრაობას მხოლოდ ერთი გეგმა აქვს, ეს არის დესტაბილიზაცია, ამისთანა შეთავაზებაზეც უარი თქვა, ისევ ქუჩაში ყოფნა არჩია და სპექტაკლი დადგა – ვითომ არჩევნები გაყალბდა, პარლამენტში არ შევიდა. ამას სჭირდებოდა ლიდერი. სააკაშვილი აქ არ არის, არაფორმალური ლიდერია.

ამიტომ დადგეს მეორე სპექტაკლი. ამისთვის აარჩიეს ნიკანორ მელია, 20 ივნისს პარლამენტზე შტურმის ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც ხალხს პარლამენტში შეჭრისკენ მოუწოდებდა. ამის კადრები არსებობს. მეორე სპექტაკლი დაიდგა რეალური დამნაშავისაგან პოლიტიკური ლიდერისა და ეროვნული გმირის შექმნისთვის.

მელია სამართლიანად დააპატიმრეს. მერე უთხრეს, გამოდი ციხიდანო, მაგრამ არაფრით არ გამოვიდა. ასეთი რამ დედამიწის ზურგზე პირველად მოხდა. უნდოდათ, მელია მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ტიპის მოღვაწედ წარმოედგინათ.

# „ასელთან სექსის მერე აბაზანაში შევედი, რომ გამოვედი, ასელი გადამხტარი იყო“

რას წერს ბესიკ თორდუა

თბილისში გარდაცვლილი 26 წლის ყაზახი ქალის საქმეზ ტვ პირველმა ბრალდებულ ბესიკ თორდუას ჩვენება მოიპოვა.

57 წლის მამაკაცი ირწმუნება, რომ ასელ აიპაევასთან სექსუალური კავშირი ახალგაზრდა ქალის თანხმობითა და სურვილით დაამყარა.

ის ჩვენებაში წერს, რომ სქესობრივი კავშირის დამყარების შემდეგ სააბაზანოში შევიდა, იქიდან გამოსულს კი ასელი საძინებელ ოთახში არ დახვდა.

– გავედი აივანზე და ჩავიხედე ქვევით, ხრეშზე ესვენა ასელის გვამი. ის აივნიდან გადახტა, თუ გადავარდა, ვერ მოგახსენებთ, – აცხადებს თოდუა.

მისი თქმით, მას შემდეგ, რაც 26 წლის გოგოს გვამი ნახა, სასწრაფოდ ჩაალაგა ტანსაცმელი და ზუგდიდში წასვლას გეგმავდა.

კითხვაზე, რატომ არ დაურეკა არავის, ბესიკ თორდუა აღნიშნავს, რომ „შოკში იყო“, „ეშინოდა, რომ თვითმკვლელობა მასთან არ დაეკავშირებინათ, რადგან სქესობრივი კავშირი ჰქონდა დამყარებული“.

– მე ასელს მამაშვილურად ვექცეოდი, ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია, – ამბობს თორდუა.

დაკავებული დაკითხვისას სკანდალურ ჩვენებას აძლევს და ამბობს, რომ ასელი დის ქმარმა გააუპატიურა და სწორედ ამიტომ მოიკლა ქალმა თავი.

– ჩემი აზრით, ასელმა თავი მოიკლა იმის გამო, რომ გააუპატიურა მისი დის ქმარმა, მურატმა, რაზეც ის სულ ტიროდა და ნერვიულობდა. ასევე, მისი გადმოცემით, ამერიკაში შეყვარებული ჰყავდა, – აცხადებს თორდუა.

ტვ პირველმა ასელ აიპაევას მეგობრის, თეა გიორგაძის, ჩვენებაც მოიპოვა.

გიორგაძე პოლიციისთვის მიცემულ ჩვენებაში ამბობს, რომ მან დაკავებულ ბესიკ თორდუასგან იცის, რომ 26 წლის გოგო მისი დის ქმარმა, მურად მეირბეკევმა, გააუპატიურა.

– მე როდესაც ბესომ მითხრა, ასელი, მგონი, მურადმა გააუპატიურაო, ამის შესახებ ვკითხე ასელს, ხომ არ უძალადია მურადს მასზე, რაზეც მიპასუხა, რომ ქალაქ რუსთავში, მურადის ნაქირავებ ბინაში, როდესაც ასელი ჩამოვიდა ყაზახეთიდან, 29 აპრილს, ორჯერ იძალადა და გააუპატიურა მურადმა. ამიტომ არ უნდოდა მასთან ცხოვრება. თუმცა სხვა დეტალები აღარ უთქვამს, – აცხადებს ჩვენებაში თეა გიორგაძე.

ოფიციალური ინფორმაციით, 26 წლის ქალი, ყაზახეთის მოქალაქე, ასელ აიპაევა მიმდინა-



რე წლის 5 მაისს მე-8 სართულიდან გადახტა და თავი მოიკლა.

პროკურატურაში აცხადებენ, რომ ახალგაზრდა ქალი მუქარისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო.

თბილისში გარდაცვლილი 26 წლის ყაზახი გოგონას საქმეზე დაკავებულ ბესიკ თორდუას პატიმრობა გასულ კვირას შეეფარდა.

# პოლიციამ ბათუმში ნარკოდანაშაულისთვის 2 პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორებისა და დეტექტივების სამმართველოების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სხვადასხვა დროს, ბათუმში, ნარკოდანაშაულისთვის 2 პირი: 1983 წელს დაბადებული თ.ქ. და 1976 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი კ.ჩ. დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ თ.ქ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით დააკავა.

სამართალდამცველებმა მოსამართლის განჩინების საფუძველზე განახორციელეს თ.ქ.-სგან ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვის ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

პოლიციამ თ.ქ.-ის მიერ საკონტროლო შესყიდვების დროს გაყიდული, „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 115 აბი და ნარკოტიკების უკანონო რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

რაც შეეხება კ.ჩ.-ს, პოლიციამ, მისი პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 29 აბი და კ.ჩ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავა.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# 40 წლის ნ.ტ. იარაღის ტარებისთვის დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული მ.ტ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა ტარების ბრალდებით, თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზაზე დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოიღეს: ქარხნული წესით დამზადებული, „ნორინკო მოდელ 213“ მოდელის პისტოლეტი, ასევე, ამავე იარაღისათვის განკუთვნილი, ქარხნული წესით დამზადებული 8 ცალი ვაზნა. ხოლო, მისი კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად ამოღებულია: ტოკარევის „ტტ“ კონსტრუქციის პისტოლეტი და ამავე იარაღისათვის განკუთვნილი 8 ცალი საბრძოლო ვაზნა.



გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა ტარების ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით.

# საქართველოს მოქალაქემ მადრიდში მაღაზია „ერმიტაჟი“ გაძარცვა

მადრიდში დაკავებულია საქართველო მოქალაქე.

ესპანური მედიის ინფორმაციით, მრავალჯერ ნასამართლევმა მამაკაცმა მადრიდის ცენტრში მდებარე ცნობილი საიუველირო მაღაზია „ერმიტაჟი“ გაძარცვა, დაჭრა დაცვის ორი თანამშრომელი.

დაკავებული პირი არის საქართველოს მოქალაქე, ეთნიკურად სომეხი, რომელიც რამდენიმე წლის წინ ოჯახთან ერთად ესპანეთში საცხოვრებლად წავიდა.

დანაშაული, რომელიც 1 კვირის წინ მოხდა, საკმაოდ მძიმეა – დაკავებულს ესპანეთის ციხეში საკმაოდ მძიმე სასჯელი ელის.

შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც ესპანეთში რეგიონული არჩევნები მიმდინარეობდა.

ესპანეთის პოლიციის ცნობით, აპრილის ბოლოს მხოლოდ ხიხონსა და სევილიაში საქართველოს 8 მოქალაქე დააკავეს. ისინი 28 ბინის ძარცვაში არიან ეჭვმიტანილი.

# შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.276 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.276 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 69 პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 1029 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 178 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

# საქართველოს სასამართლომ ალექსეი ლენივცევის რუსეთისთვის გადაცემა გადაწყვიტა

საქართველოს სასამართლომ 34 წლის ალექსეი ლენივცევის რუსეთში დეპორტაციის გადაწყვეტილება მიიღო.

მას კრიმინალურ სამყაროში „კოსის“ მეტსახელით იცნობენ და მიიჩნევა, რომ პირადად ხელმძღვანელობდა სექსინდუსტრიას ირკუტსკის ოლქში, სადაც ყველა სექსმუშაკი ვალდებული იყო, გამომუშავებული თანხა ლენივცევისთვის მიეტანა.

რუსული მედია წერს, რომ ალექსეი ლენივცევმა თავისი კრიმინალური იმპერიის მშენებლობა 2015 წელს დაიწყო. მან შექმნა ჯგუფი, რომელიც სულ რაღაც ერთ წელიწადში არა მარტო აკონტროლებდა ქალაქის ყველა მეძავს, არამედ არეკეტებდა რამდენიმე მსხვილ კომპანიას.

ირკუტსკში ყველა სექსმუშაკისთვის დაწესდა ერთი ტარიფი და მეძავებს უნდა გადაეხადათ თანხები კომპენსაციის სახით – მინიმუმ 100.000 რუბლი. ჯერ კიდევ არასრულწლოვნობის პერიოდში ლენივცევი გახლდათ კრიმინალური დაჯგუფება „მახრჩობელას“ წევრი, რომელიც 2003-2004 წლებში მთელ რუსეთში ქუხდა. მისი მონაწილეობით „მახრჩობელებმა“ სასტიკად აწამეს ტაქსის მძღოლი, რომელსაც ძვირფასეულობა და მობილური მოჰპარეს. ამ დანაშაულისთვის ლენივცევი 17 წლის ასაკში გაასამართლეს და



საპატიმროდან 2011 წელს ვადაზე ადრე გათავისუფლდა.

მას შემდეგ, რაც ალექსეი ლენივცევის სექსინდუსტრია რუსი სამართალდამცველების ინტერესის სფეროში მოექცა, ის ქვეყნიდან გაიქცა. მასზე ინტერპოლმა ძებნა გამოაცხადა. ლენივცევი საქართველოში 2020 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა, თუმცა კოვიდ 19-ის პანდემიის გამო ქვეყნიდან გასვლა ვეღარ შეძლო.

რუსეთის თხოვნით, ლენივცევი 2021 წლის 11 იანვარს ბათუმში დააკავეს.

რამდენიმე დღის წინ კი თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ბაიკალის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი დამნაშავის სამშობლოში დეპორტაციის შესახებ.

# სროლა დიღმის სტადიონზე

## საბურთალოელები დიღმელების წინააღმდეგ

10 მაისს სოფელ დიღომში სროლა იყო. მომხდარი დაპირისპირების შედეგად დაჭრილია კონფლიქტის 4 მონაწილე. სხეულის სხვადასხვა მძიმე დაზიანებით ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ უკვე ჩაუტარდათ გადაუდებელი ოპერაციები.

სისხლიანი გარჩევა წარსულში მომხდარ კონფლიქტს უკავშირდება, სოფელ დიღმელებს შორის დაწყებული კონფლიქტის მოგვარება საბურთალოელებმა ცადეს, რასაც გარჩევა და მოგვიანებით სროლაც მოჰყვა.

საქმეში, გარდა ცეცხლსასროლი იარაღისა, ფიგურირებს დანაც.

დაპირისპირება სოფელ დიღმის ფეხბურთის სტადიონზე მოხდა. კონფლიქტი საბურთალოელებმა დაიწყეს და გასროლაც მათი მხრიდან განხორციელდა.

4 ახალგაზრდა მამაკაცის დაჭრის შემდეგ ბრალდებულებმა გაქცევა და მიმალვა მოახერხეს, პოლიცია მათ კვალს უშედეგოდ ეძებს.

ირკვევა ისიც, რომ დაჭრილები ღუდუშაურის კლინიკაში თვითდინებით მივიდნენ. ტვ პირველის ინფორმაციით, ერთ-ერთი დაჭრილი 34 წლის გიორგი კირკიტაძეა. პირველის კორესპონდენტი კირკიტაძის რეგისტრირებულ მისამართზე იმყოფებოდა, თუმცა ოჯახში კომენტარის გაკეთება არ ისურვეს.

ტვ პირველის ინფორმაციით, ჩვენება არ მიუციათ არც დაპირისპირების დროს დაჭრილ ახალგაზრდებს.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 117-ე მუხლებით დაიწყო, რაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

# ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული საშუალებების რეალიზაციისთვის სასჯელი მკაცრდება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილების პროექტი, რომელიც მთავრობას წარედგინა. კანონპროექტის მიხედვით მკაცრდება ნარკოტიკული საშუალების, ახალი ფსიქოაქტიური, ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერებების გასაღებისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელები.



ბოლო პერიოდის პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ნარკოტიკული საშუალების გასაღებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დღეს მოქმედი სანქცია სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს შემაკავებელი ფუნქციის შესრულებას. ნარკოტიკული საშუალების გასაღებით მიღებული მნიშვნელოვანი ფულადი სარგებელი, უმეტესად ხელს უწყობს ახალი დანაშაულის ჩადენას და ამ სფეროში არაერთი პირის ჩართვასაც.

სწორედ ამ ფაქტორებითაა ნაკარნახევი სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკის გამკაცრება ნარკოტიკების გამსაღებლების მიმართ.

წარდგენილი კანონპროექტით ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ოდენობა 6-დან 10 წლამდე გაიზრდება.

ასევე, 12-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისჯება ის პირი, ვინც დიდი ოდენობით გაასაღებს ნარკოტიკულ საშუალებას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვნად იზრდება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის დადგენილი სასჯელი. კერძოდ თუ დღეს მოქმედი რედაქციით აღნიშნული ქმედების ჩამდენი პირისთვის გათვალისწინებულია 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა, პროექტის თანახმად ეს ვადა 14-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შემუშავებული ცვლილებების პროექტით ასევე მკაცრდება სანქციები ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო გასაღებისათვის.

წარმოდგენილი ცვლილებები სრულად იზიარებს საუკეთესო ევროპულ გამოცდილებას, მათ შორის ისეთი ქვეყნების, როგორებიცაა გერმანია, ავსტრია, პორტუგალია, ესპანეთი, შვედეთი და ა.შ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს საქართველოს მთავრობამ მხარი დაუჭირა და უახლოეს დღეებში საქართველოს პარლამენტს წარედგინება.

# ბულგარეთის პრეზიდენტმა პარლამენტი დაითხოვა და საპარლამენტო არჩევნები დანიშნა



ბულგარეთის პრეზიდენტმა რუმენ რადევმა ხელი მოაწერა განკარგულებას ქვეყანაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების 11 ივლისს ჩატარების შესახებ.

— ამ განკარგულებით პრეზიდენტი 12 მაისიდან 45-ე მოწვევის ეროვნულ ასამბლეას დაითხოვს. სახელმწიფოს მეთაურმა საპარლამენტო არჩევნების თარიღად მიმდინარე წლის 11 ივლისი დაასახელა, — აცხადებენ პრეზიდენტის პრესსამსახურში.

მიმდინარე წლის 4 აპრილს ჩატარებულ არჩევნებში პრემიერ-მინისტრ ბოიკო ბორისოვის პარტიამ „მოქალაქეები ბულგარეთის ევროპული განვითარებისთვის" გაიმარჯვა, თუმცა უმრავლესობა ვერ მოიპოვა, რის გამოც კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება გახდა საჭირო, რაც ვერც ბორისოვმა და მოგვიანებით ვერც არჩევნებში მეორე და მესამე ადგილზე გასული პარტიების „არის ასეთი ხალხი" და „სოციალისტური პარტიის" ხელმძღვანელებმა ვერ მოახერხეს.

# ილჰამ ალიევი: „მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი მოგვარებულია"



— კიდევ მინდა ვთქვა, რაც არაერთხელ მითქვამს, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი მოგვარებულია.

ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა.

მისი თქმით, ბრძოლის ველზე გამარჯვებამ „აიძულა მტერი, ფარ-ხმალი დაეყარა", დანებებულიყო და კაპიტულაციის აქტისთვის ხელი მოეწერა.

— 10 ნოემბერს ხელმოწერილი დოკუმენტი არის კაპიტულაციის აქტი სომხეთის მხრიდან, — აღნიშნა ალიევმა.

მისი თქმით, აზერბაიჯანში არ არსებობს ტერიტორიული ერთეული, სახელად მთიანი ყარაბაღი.

— კონფლიქტი მოგვარებულია და ამ საკითხზე დაბრუნებას აზრი არ აქვს. უპირველეს ყოვლისა, თუ ვინმეს ჰგონია, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი არ მოგვარებულა, ეს მისი პრობლემაა. მეორეც, ეს არის ძალიან საშიში მიდგომა. თუ ეს კონფლიქტი არ მოგვარებულა, როგორ უნდა მოგვარდეს? ნიშნავს ეს იმას, რომ 10 ნოემბერს ხელმოწერილმა განცხადებამ ძალა დაკარგა? ასე მესმის ეს, — აღნიშნა ალიევმა.

# ყაზანის გიმნაზიაში 19 წლის მამაკაცმა 11 ადამიანი მოკლა



გუშინ, 11 მაისს, რუსეთის ქალაქ ყაზანში 175-ე გიმნაზიაზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა.

გიმნაზიაში ავტომატით შეიარაღებული 19 წლის ილნაზ გალიავიევი შეიჭრა, რომელმაც შეჭრისთანავე ატეხა სროლა.

სროლის შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა, კლინიკაშია გადაყვანილი 16 ადამიანი – 12 ბავშვი და 4 ზრდასრული პირი.

თავდამსხმელი ადრე ამ გიმნაზიაში სწავლობდა. იარაღი მას ოფიციალურად რეგისტრირებული ჰქონდა.

# სომხეთის ვადამდელი არჩევნები ივნისში ჩატარდება



სომხეთის პრემიერმა ნიკოლ პაშინიანმა ხელი მოაწერა განკარგულებას ამა წლის 2 ივნისს ვადამდელი არჩევნების ჩატარების თაობაზე.

— ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ, — თქვა პაშინიანმა.

გამოკითხვების მიხედვით, პაშინიანის ორგანიზაცია პირველ ადგილზეა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ავტომობილის ნომერი მილიონობით დოლარად გაიყიდა




არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში ავტომობილის სარეგისტრაციო ნომერი მილიონობით დოლარად გაიყიდა. ავტომობილის ლითონის ნომერი AA9 საქველმოქმედო საღამოზე შეიძინა პიროვნებამ, რომლის ვინაობა უცნობი დარჩა. მან 10 მილიონ დოლარზე მეტი გადაიხადა.

ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და დუბაის მმართველი მუჰამედ ბენ რაშიდ-ალ მაკტუმი. აღსანიშნავია, რომ საქველმოქმედო საღამოსგან მიღებული მთელი შემოსავალი, კერძოდ, 13,2 მილიონი დოლარი, გაჭირვებულებს მოხმარდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მასტერი: „ჩემს სიმღერებში უფრო სადად ჩანს ჩემი ცხოვრებაც და პირადიც"



მომღერალი გიორგი პავლიაშვილი – მასტერი უარს ამბობს ისეთ გადაცემებში მონაწილეობაზე, სადაც ფულის სანაცვლოდ პირადზე მოუწევს საუბარი:

— დიდ რეიტინგს წერს ტელევიზია და „ყვითელი" გადაცემები. მესმის, რომ შოუბიზნესის წევრისთვის ეს ყველაფერი საჭიროა, მაგრამ ვერ ვხედავ საკუთარ თავს გადაცემებში, სადაც ფულის ან რეიტინგის სანაცვლოდ უნდა ვისაუბრო „ყოფილებზე", პირადზე და „ვიღაცის თეთრეული გამოვფინო", რომ მერე ამაზე საზოგადოებამ წეროს, განიხილოს და ხალხის ყურადღება ამით მივიპყრო.

ჩემს სიმღერებში უფრო სადად ჩანს ჩემი ცხოვრებაც და პირადიც. ვფიქრობ, ჩემს მსმენელს ესეც ჰყოფნის. კიდევ ერთი უარი ტელევიზიის გა-„დაცემას".

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# პრინცმა ჰარიმ ფეხმძიმე მეუღლე სახლში დატოვა და თვითონ კონცერტზე წავიდა



პრინცმა ჰარიმ ფეხმძიმე მეუღლე მეგან მარკლი სახლში დატოვა და თვითონ საქველმოქმედო კონცერტზე წავიდა.

აღსანიშნავია, რომ პაპის, ედინბურგის პრინც ფილიპის გარდაცვალების შემდეგ პრინცი ჰარი პირველად გამოჩნდა საზოგადოებაში. აღნიშნული ღონისძიება იმ კომპანიის ნაწილი იყო, რომელიც მდიდარ ქვეყნებს კორონავირუსთან ვაქცინაციის საშუალებით ბრძოლისკენ მოუწოდებს.

პრინც ჰარისთან ერთად საქველმოქმედო კონცერტს მთელი რიგი ცნობილი პირებიც ესწრებოდნენ, მათ შორის ჯენიფერ ლოპესი, სელენა გომესი და ბენ აფლეკი.

# სიძემ მომღერალს ქორწილში ფულის სანაცვლოდ ლუდი და პატარძლის დაქალები შესთავაზა

ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის ინფორმაციით, ქორწილში სიძემ მომღერალს ფულის მაგივრად მისი სამსახურის სანაცვლოდ კომპენსაციის სახით ლუდი, საჭმელი და პატარძლის დაქალები შესთავაზა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომღერალი სიძეს ფეისბუქზე დაუკავშირდა და ქორწილში საკუთარ გამოსვლაზე 50-პროცენტიანი ფასდაკლება შესთავაზა, რაზეც უჩვეულო პასუხი მიიღო. სიძემ მომღერალს მისწერა, რომ მის გამოსვლაში ფულს ვერ გადაუხდიდა, თუმცა მზად იყო, მისთვის შეეთავაზებინა რამდენიმე კათხა ლუდი, საჭმელი ქორწილის სუფრიდან და პატარძლის დაქალები, რომლებიც, მისი თქმით, კორონავირუსის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების შედეგად მამაკაცებზე გარეული ცხოველებით იყვნენ დამშეულები.

მომღერალმა ასეთ წინადადებაზე უარი განაცხადა, ვინაიდან ფინანსებს თავად საჭიროებდა. ამან სიძე გააცეცხლა და მას უმადური უწოდა, შემდეგ კი დაამატა, რომ პატარძალმა შეიძლება დაშორება მოითხოვოს, თუ ის ქორწილისთვის მუსიკოსს ვერ ნახავს.

# ცნობილი მზარეული მოოქროვილი სტეიკების რესტორანს გახსნის



ცნობილი თურქი მზარეული ნუსრეტ გეკჩე მაისის ბოლოს ლონდონში რესტორნის გახსნას აპირებს. მის დაწესებულებაში გაიყიდება სტეიკები, რომლებიც ოქროთი იქნება დაფარული.

აღსანიშნავია, რომ მენიუში, რომელიც მზარეულმა შეიმუშავა, ჩართული იქნება პოზიცია „ოქროს ტომაჰავკი". ეს იქნება მარმარილოსებური საქონლის ხორცის სტეიკი, დაფარული 24– კარატიანი ოქროთი. ერთი ულუფის ფასი, წინასწარი მონაცემებით, ათას დოლარს შეადგენს.

თურქი მზარეული ფლობს დაწესებულებების ქსელს სახელწოდებით ნუსრ-ეტ-ი. გეკჩეს რესტორნებს ისეთი ცნობილი ადამიანები სტუმრობდნენ, როგორებიც არიან მსახიობი ლეონარდო დი კაპრიო, ფრანგი ფეხბურთელი პოლ პოგბა, ყოფილი ინგლისელი ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი და სხვები.

# წყვილმა ძაღლები ვეგეტარიანულ დიეტაზე დასვა და კინაღამ დაღუპა



ავსტრალიის კვინსლენდის შტატში ვეგეტარიანელმა წყვილმა სახლში მოსავლელად ორი ძაღლი აიყვანა და ისინი თავიანთ დიეტაზე გადაიყვანა, რაც რაციონიდან ხორცისა და სხვა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ამოღებას გულისხმობდა. შედეგად მათ ცხოველები ორგანიზმის გამოფიტვამდე მიიყვანეს, რის გამოც ერთ-ერთი დაძინება გახდა საჭირო.

ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის თანამშრომლებმა იეჭვეს, რომ ცხოველების თავს რალაც წესრიგში არ იყო. ოჯახში ერთ-ერთი ვიზიტის დროს სამსახურის წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს, რომ ორივე ლეკვი თავიანთ თანატოლებზე პატარა იყო და მოძრაობა უჭირდათ. გარდა ამისა, ერთ-ერთს თათი ჰქონდა დაზიანებული.

წყვილმა ეს იმით ახსნა, რომ ძაღლი, სახელად რუ, დივნიდან ჩამოვარდა. ახალგაზრდა წყვილმა უფულობის მომიზეზებით მის ვეტერინარულ საავადმყოფოში მიყვანაზე უარი განაცხადა და თათი თვითონ ჩაუსვა თაბაშირში.

რამდენიმე დღის შემდეგ ცხოველთა დამცველები ისევ ესტუმრნენ წყვილს, თუმცა ლეკვები ადგილზე აღარ დახვედრიათ. მათ ორგანიზაციის თანამშრომლებს უთხრეს, რომ ძაღლები „ღმერთთან გაემგზავრნენ", თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ მათ ძაღლების ცხოველთა დამცველებისთვის დამალვა სურდათ.

როდესაც ლეკვები აღმოაჩინეს, ორივე ძალაგამოცლილი იყო. გაირკვა, რომ მათ სხვადასხვა ბოსტნეულით, მათ შორის ხორბლითა და ბრინჯით კვებავდნენ. ძაღლები წყვილს ჩამოართვეს და საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც ორივეს ორგანიზმის გამოფიტვა და კალციუმის ნაკლებობა დაუდგინეს. ექიმებს რუს დაძინება მოუხდათ, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემებიდან გამომდინარე, მეორე ლეკვს, ულეს, სახელი შეუცვალეს და მისთვის ახალ პატრონს ეძებენ.

მათ ყოფილ პატრონებს 8,6 ათასი დოლარის ჯარიმის, სასამართლოსა და ვეტერინარების მომსახურების ხარჯების გადახდა დაეკისრათ. ასევე მათ სამი წლით აეკრძალათ ოჯახში მოსავლელად ცხოველის აყვანა.

# სექსმონებს ბორდელში ვუდუს რიტუალის დახმარებით აკავებდნენ

ამერიკის ქალაქ ლას-ვეგასში პოლიციამ დახურა ბორდელი, რომელშიც სექსმონებს ძალის გამოყენებით, კერძოდ, ვუდუსა და მსხვერპლშეწირვის რიტუალის გამოყენებით აკავებდნენ.

სამართალდამცავები ექვსი თვის განმავლობაში ატარებდნენ ოპერაციას, რომლის დროსაც ცდილობდნენ გამოევლინათ, თუ რა ხდებოდა ბორდელში და ვინ იყო ყოველივეზე პასუხისმგებელი. მათ დააკავეს დაწესებულების მეპატრონე, 30 წლის ჟასმინ რუსო-მარტინესი.

შემდეგ პოლიციამ ჩხრეკა ჩაატარა, რომლის დროსაც შენობაში აღმოაჩინეს ერთიანად სისხლში ამოთხვრილი ვუდუ-საკურთხეველი.

— ოთახის კედლები სისხლით იყო მოსვრილი. ავტოფარეხის კედლებსაც სისხლის მსგავსი ლაქების კვალი ეტყობოდა, — ნათქვამია პოლიციის მოხსენებაში.

თავად სექსმონებმა კი დაწესებულების მეპატრონე ჯადოქრობაში დაადანაშაულეს. ის მსხვერპლშეწირვის რიტუალებს ასრულებდა, ხოლო გოგონებს, თუ ისინი გაქცევას გაბედავდნენ, დაწყევლით ემუქრებოდა. ის ასევე ამტკიცებდა, რომ ერთ-ერთმა გოგონამ გაქცევის შემდეგ სასიკვდილო ჭრილობა მიიღო.

რუსო-მარტინესმა დაკითხვაზე განაცხადა, რომ ის პასუხს მხოლოდ ღმერთის წინაშე აგებს.

# პატარძალმა ქორწილი სასიძოს მიერ გამრავლების ცხრილის არცოდნის გამო გააუქმა

ინდოეთში პატარძალმა ქორწილი იმის გამო გააუქმა, რომ მისმა საქმრომ გამრავლების ცხრილი არ იცოდა.

აღსანიშნავია, რომ ქორწილი 1 მაისს უნდა გამართულიყო უტარ-პრადეშის შტატში. გოგონას საქმროს განათლებაში ეჭვი ეპარებოდა და ამიტომ მას 1-დან 9-მდე რიცხვების ორზე გამრავლება შესთავაზა. მას შემდეგ, რაც სასიძომ ამ დავალების შესრულება ვერ შეძლო, ქალმა მასზე გათხოვებაზე უარი განაცხადა.

— სასიძოს ოჯახი ინფორმაციას გვიმალავდა მისი განათლების დონეზე. შესაძლოა, მას სკოლაში საერთოდ არ უვლია, — აღნიშნა პატარძლის ბიძაშვილმა და იქვე დაამატა, რომ გოგონას საქციელს სრულად იწონებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ოჯახები შეთანხმდნენ, რომ ქორწილის წინ მირთმეული საჩუქრები და ძვირფასეულობა ერთმანეთს დაუბრუნონ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ვლადიმერ გუცაევი: „კვარაცხელია ჩემს თავს მაგონებს“



ესპანური მედია ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელ ვლადიმერ გუცაევს იმ პერიოდზე ესაუბრა, როდესაც ჩვენებურის მადრიდის რეალში გადასვლა ძალიან რეალური იყო. ეს ტრანსფერი საბჭოთა სისტემის გამო ვერ განხორციელდა.

გუცაევმა აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო ამბები გაიხსენა.

1981 წელს თბილისის დინამომ მადრიდის რეალთან 2:4 წააგო, თუმცა ქართველმა თავდამსხმელმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და შტილიკეს, დელ ბოსკესა და სხვებს არაფერი დაუთმო. სწორედ პოლიტიკამ და „ვოლგამ“ დინამოს თავდამსხმელს რეალის ისეთ ვარსკვლავებთან ბარტერში შეუშალა ხელი, როგორებიც ხუანიტო და სანტილიანა იყვნენ.

**ვლადიმერ გუცაევი:**

– გაოგნებული და, ამავე დროს, ბედნიერი ვიყავი, მაგრამ ვიცოდი, მაშინდელ საბჭოთა კავშირში არსებული სიტუაციის გამო ეს შეუძლებელი გახლდათ. ვთვლი, რომ რეალთან მართლაც კარგი მატჩი ჩავატარე. დღემდე მახსოვს, როგორ კარგად ითამაშეს დელ ბოსკემ და შტილიკემ. ჩვენ დავმარცხდით, თუმცა რატომღაც ესპანელებმა ჩემში რაღაც დაინახეს.

გუცაევი ამბობს, რომ ამის შესახებ მწვრთნელმა ნოდარ ახალკაცმა თამაშის შემდეგვე აცნობა და უთხრა, რომ ნებისმიერი თანხის გადამხდელები იყვნენ, თუმცა იცოდა, რა შედეგებიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

– წინადადებას რომ დავთანხმებულიყავი და ესპანეთში დავრჩენილიყავი, დინამო და საქართველოში ჩემი ნათესავები დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდნენ. შეიძლება, სამშობლოს მოღალატედაც კი გამოვეცხადებინე. მათ ვუთხარი, რომ სამშობლოში მარტო ოჯახი კი არა, არამედ საყვარელი ავტომობილი (ვოლგა) მელოდა. ესპანელები კარგა ხანი ცდილობდნენ გაეგოთ, ეს რა მანქანა იყო, რომელთანაც განშორება არ შემეძლო.

„საუკეთესო“ საბჭოთა ავტომობილი „ვოლგა“ მაშინ 16.000 მანეთი ღირდა. ეს იმ დროს დიდი თანხა იყო. თუმცა გუცაევი თვეში მხოლოდ 360 მანეთს გამოიმუშავებდა, მაგრამ მნიშვნელოვანი გოლების გატანისას პრემიებსაც იღებდა. მაგალითად, როდესაც 1979 წელს თბილისში ჩემპიონთა თასზე ლივერპული „ნოკაუტში“ ჩააგდეს (3:0).

ერთადერთი პრივილეგია საბჭოთა ფეხბურთელებისთვის იმაში მდგომარეობდა, რომ მანქანის შესაძენად რიგში დგომა არ უწევდათ.

– იმედგაცრუებულმა მენეჯერებმა ტრანსფერის განხორციელების კიდევ ერთ ცდას მიმართეს – სანტილიანაში ან ხუანიტოში გაცვლას. ჩვენ ამ ვარიანტზეც უარი ვთქვით, თუმცა ესპანელები ვერ მიხვდნენ, რატომ.

გუცაევმა დინამოში თამაში გააგრძელა, რომლის შემადგენლობაში 1979 წელს საბჭოთა ლიგის ჩემპიონი გახდა, მაგრამ 1982 წელს ესპანეთში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანეს.

– ესპანელები გაკვირვებული იყვნენ, ამბობდნენ: რა მაღალი დონისანი უნდა ყოფილიყვნენ საბჭოთა ფეხბურთელები, როდესაც თვით გუცაევი არ არის ნაკრებშიო. ეს ძალიან განვიცადე.

გუცაევი ქართული ფეხბურთის მომავალს ოპტიმიზმით უყურებს, უფრო იმიტომ, რომ ნაკრების ახალი მწვრთნელი ვილი სანიოლი აქცენტს შემტევ ფეხბურთზე აკეთებს, რაც ქართველებს სისხლში აქვთ. დარწმუნებულია, რომ ახალი ქართველი ვარსკვლავი ხვიჩა კვარაცხელია ისეთ დიდ გუნდში განახორციელებს ნახტომს, როგორიც რეალია.

– ხვიჩა ჩემს თავს მაგონებს. დიდი პოტენციალი გააჩნია: სისწრაფე, ინტუიცია, ტაქტიკური ინტელექტი და, რაც მნიშვნელოვანია, ფეხბურთით ცხოვრობს. ბურთთან ერთად იღვიძებს და იძინებს. კვარაცხელიამ გოლის გატანით ესპანელებს აგრძნობინა, რომ ევროპის ერთ-ერთ წამყვან ლიგაში საასპარეზოდ მზადაა. ხვიჩათი რამდენიმე ევროპული გუნდია დაინტერესებული, ხოლო თავად რეალის გულშემატკივარია.

# სუპერლიგაში ყველა ნახევარფინალისტი ცნობილია




### კაკტუსი-ვეგა 90:77

კაკტუსი სუპერლიგის ნახევარფინალშია. არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა გუნდმა მეოთხედფინალური სერიის მე-3, გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 90:77 დაამარცხა ვერა და საუკეთესო ოთხეულში ადგილი გაინაღდა. კაკტუსელებმა მესამე პერიოდში მოიპოვეს ლიდერობა, რომელიც მეოთხეში განიმტკიცეს და ამის წყალობით საბოლოოდ იმარჯვეს. პირველი ნახევარი ვერელების უპირატესობითა და უმეტესი ლიდერობით წარიმართა, მაგრამ დავით გასიტაშვილის გაწვრთნილ გუნდს გამოცდილება და ძალები არ ეყო გამარჯვების მოსაპოვებლად.

კაკტუსელებმა გუნდური თამაშის წყალობით მოიგეს. კალათბურთში სხვაგვარად არც ხდება, მაგრამ არიან მოთამაშეები, რომლებსაც მეტი წვლილი მიუძღვით გამარჯვებაში. ასეთად შეიძლება კაკტუსელი ანზორ ნადირაძე დავასახელოთ, რომელმაც ყველაზე მნიშვნელოვან, ბოლო პერიოდში 3 სამქულიანი ჩააგდო. 20 წლის ფორვარდმა 6-დან 6 სამქულიანი ჩააგდო და აქედან 3 – გადამწყვეტ ათწუთეულში. მისი შედეგიანი სროლების შემდეგ კაკტუსის უპირატესობამ 15 ქულას მიაღწია და ჟღენტის გუნდისთვის თამაშის სასურველი სცენარით ჩამთავრება პრობლემას აღარ წარმოადგენდა.

საბოლოოდ მატჩი ისე დასრულდა, მოედანზე ვითარება არ დაძაბულა. გამარჯვებულ კაკტუსელებს 22 ქულითა და 7 მოხსნით სწორედ ანზორ ნადირაძემ ულიდერა. 18 ქულა დააგროვა სანდრო სანაძემ, 15 ქულა ლევან მასხულიას ანგარიშზე დაგროვდა. ვერაში 35 ქულით საუკეთესო იყო აარონ პარკსი. 17 ქულითა და 8 პასით დაასრულა ასპარეზობა გივი ბაქრაძემ.

კაკტუსი ნახევარფინალურ სერიაში რუსთავს დაუპირისპირდება.

### ცხუმი-ოლიმპი 79:58

სუპერლიგის ბოლო ნახევარფინალისტი ცხუმ-აფხაზეთია. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა მეოთხედფინალური სერიის გადამწყვეტ შეხვედრაში დამაჯერებელი სხვაობით – 79:58 დაამარცხა ოლიმპი და სუპერლიგის საუკეთესო ოთხეული შეავსო. ცხუმ-აფხაზეთამდე ნახევარფინალში გასული იყვნენ რუსთავი, კაკტუსი და დინამო. ცხუმელები ნახევარფინალში დინამოელებს შეხვდებიან.

ცხუმ-აფხაზეთისა და ოლიმპის მატჩი ისეთ ბრძოლაში დაიწყო, ბევრს აფიქრებინა, გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წამებამდე გაურკვეველი იქნებაო. ქულა-ქულაში მიმდინარე პირველი პერიოდი დავით როგავას გაწვრთნილმა ოლიმპელებმა 17:15 მოიგეს, რომლებიც სწრაფი კონტრშეტევების წყალობით ფონს იოლად გადიოდნენ.

მეორე პერიოდის შუაწელიდან ცხუმ-აფხაზეთის უპირატესობა გამოიკვეთა. ჩერქეზიშვილის გაწვრთნილი გუნდი დაცვაში გამაგრდა და შეტევის ნებისმიერ შანსს ხელიდან არ უშვებდა. ცხუმელები ქულებს ყველა შესაძლო ხერხით იხვეჭდნენ – შორი, ახლო, საჯარიმო სროლებით, ახორციელებდნენ სწრაფ შეტევებს და იყენებდნენ მეფარეების სიმაღლეს.

შესაბამისად, მეორე პერიოდის ბოლო წუთებზე ცხუმ-აფხაზეთმა გაქცევა მოაწყო და დიდ შესვენებაზე 8-ქულიანი ლიდერობით გავიდა. მესამე პერიოდიდან ცხუმელებმა ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცეს, რაც გუნდური თამაშის დამსახურება გახლდათ. ჩერქეზიშვილის გუნდის უპირატესობამ 20 ქულას მიაღწია, რაც ოლიმპისთვის ბოლო პერიოდში დაუძლეველ ბარიერად იქცა და თამაში ცხუმ-აფხაზეთის გამარჯვებით დასრულდა.

ნახევარფინალისტებს ალექსანდრე ფევაძემ ულიდერა, რომელმაც 14 ქულა და 15 მოხსნა მიითვალა. 14 ქულა მოაგროვა რაჰიმ ჯონსონმაც, ტაილერ გრინის ანგარიშზე 11 ქულა და 7 პასი დაგროვდა. კაკტუსში ათქულიან ზღვარს ერთი მოთამაშე ასცდა – კახა ჯინჭარაძემ 20 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა.

# ბასილაშვილი რომის მასტერსზე დამარცხდა



საქართველოს პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი რომის მასტერსის პირველივე წრეში დამარცხდა. ჩვენებურმა მასპინძელ მატე ბერეტინისთან 6:4; 3:6; 4:6 წააგო.

ბერეტინი ჩვენებურზე წინ არის რეიტინგში და ბოლოს მადრიდის მასტერსის ფინალშიც ითამაშა. ასე რომ, ფავორიტად ბერეტინი ითვლებოდა. ეს პროგნოზი გამართლდა – მიუხედავად პირველი სეტის წაგებისა, იტალიელმა მაინც სათავისოდ შეატრიალა მატჩი.

პირველ სეტში ნიკოლოზი თავიდან 3:1 დაწინაურდა და საქმე მშვიდად მიიყვანა სეტის ბოლომდე, მეორეში კი გადამწყვეტი დასაწყისშივე წაგებული საკუთარი მოწოდება იყო. მესამე სეტში ბრძოლა თანაბარი იყო, მაგრამ ბოლო მოწოდება, როდესაც 4:5 ჩამორჩა, მეტოქეს დაუთმო და ტურნირს გამოეთიშა.

# შედეგები

**10 მაისი**

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

ფულემი-ბარნლი ............ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 35 | 25 | 5 | 5 | 72-26 | 80 |
| 2.მანჩესტერი | 34 | 20 | 10 | 4 | 67-36 | 70 |
| 3.ჩელსი | 35 | 18 | 10 | 7 | 55-32 | 64 |
| 4.ლესტერი | 35 | 19 | 6 | 10 | 63-43 | 63 |
| 5.ვესტ ჰემი | 35 | 17 | 7 | 11 | 55-45 | 58 |
| 6.ლივერპული | 34 | 16 | 9 | 9 | 57-39 | 57 |
| 7.ტოტენჰემი | 35 | 16 | 8 | 11 | 61-41 | 56 |
| 10.ევერტონი | 34 | 16 | 7 | 11 | 46-42 | 55 |
| 9.არსენალი | 35 | 15 | 7 | 13 | 49-38 | 52 |
| 10.ლიდსი | 35 | 15 | 5 | 15 | 53-53 | 50 |
| 11.ასტონ ვილა | 34 | 14 | 6 | 14 | 49-41 | 48 |
| 12.ვულვზი | 35 | 12 | 9 | 14 | 35-47 | 45 |
| 13.კრ.პალასი | 34 | 11 | 8 | 15 | 36-56 | 41 |
| 14.ბარნლი | 35 | 10 | 9 | 16 | 33-47 | 39 |
| 15.ნიუკასლი | 35 | 10 | 9 | 16 | 40-58 | 39 |
| 16.ბრაიტონი | 35 | 8 | 13 | 14 | 36-41 | 37 |
| 17.საუთჰემპტონი | 34 | 10 | 7 | 17 | 41-61 | 37 |
| 18.ფულემი | 35 | 5 | 12 | 18 | 25-47 | 27 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 35 | 5 | 11 | 19 | 32-68 | 26 |
| 20.შეფილდი | 35 | 5 | 2 | 28 | 18-62 | 17 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კილი-ჰანოვერი ............ 1:0
ჰამბურგი-ნიურნბერგი ............ 5:2

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბეტისი-გრანადა ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 35 | 23 | 8 | 4 | 61-22 | 77 |
| 2.რეალი | 35 | 22 | 9 | 4 | 60-26 | 75 |
| 3.ბარსელონა | 35 | 23 | 6 | 6 | 80-33 | 75 |
| 4.სევილია | 35 | 22 | 5 | 8 | 51-29 | 71 |
| 5.სოსიედადი | 35 | 15 | 11 | 9 | 53-35 | 56 |
| 6.ბეტისი | 35 | 15 | 9 | 11 | 45-47 | 54 |
| 7.ვილიარეალი | 35 | 13 | 13 | 9 | 53-42 | 52 |
| 8.სელტა | 35 | 12 | 11 | 12 | 50-53 | 47 |
| 9.ბილბაო | 35 | 11 | 13 | 11 | 46-38 | 46 |
| 10.გრანადა | 35 | 13 | 6 | 16 | 44-57 | 45 |
| 11.კადისი | 35 | 11 | 10 | 14 | 31-50 | 43 |
| 12.ოსასუნა | 35 | 10 | 11 | 14 | 33-43 | 41 |
| 13.ვალენსია | 35 | 9 | 12 | 14 | 46-51 | 39 |
| 14.ლევანტე | 35 | 9 | 12 | 14 | 40-50 | 39 |
| 15.ხეტაფე | 35 | 8 | 10 | 17 | 26-41 | 34 |
| 16.ალავესი | 35 | 7 | 11 | 17 | 30-54 | 32 |
| 17.ვალიადოლიდი | 35 | 5 | 16 | 16 | 32-49 | 31 |
| 18.უესკა | 35 | 6 | 12 | 17 | 33-52 | 30 |
| 19.ელჩე | 35 | 6 | 12 | 17 | 29-52 | 30 |
| 20.ეიბარი | 35 | 6 | 11 | 18 | 27-46 | 29 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

რაიო-ლეგანესი ............ 1:1
ხიხონი-ლუგო ............ 1:0

### იტალია. სერია ბ

ვიჩენცა-რეჯანა ............ 2:1
კიევო-ასკოლი ............ 3:0
მონცა-ბრეშა ............ 0:2
პესკარა-სალერნიტანა ............ 0:3
პიზა-ვირტუსი ............ 3:2
პორდენონე-კოზენცა ............ 2:0
რეჯინა-ფროზინონე ............ 0:4
სპალი-კრემონეზე ............ 1:0
ჩიტადელა-ვენეცია ............ 1:1
ემპოლი-ლეჩე ............ 2:1

### პორტუგალია. პრიმერა ლიგა

პორტიმორენშე-მორეირენშე ............ 1:2
პორტუ-ფარენსე ............ 5:1

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

ჩენსტოხოვა-პიასტი ............ 1:0

### დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი ............ 2:2

### შვედეთი. ალსვენსკა

ნორჩიოპინგი-აიკი ............ 2:0

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

შპს „თერგი-1“-ის, შპს „თი ელ ჯისა“ და შპს „ქალაქის გულის“ თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ალექსანდრე იაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „ოქროს კიდობანისა“ და „ოქროს კიდობანი+“-ის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ

**ალექსანდრე იაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

მუხრან ბაგრატიონი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ალექსანდრე იაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

თამაზ დაუშვილი, ბუსკა გეწაძე, მამუკა ადამია, რევაზ თაბუკაშვილი, მაია ზოდელავა ოჯახებით იუწყებიან

**ალექსანდრე იაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სვანური კოშკის ქვედა სართული; 2. თანამედროვე ქართველი პოეტი მამაკაცი; 3. ფრინველის საჭერი მახე; 4. მონასტერი თეთრიწყაროს რაიონში; 8. უძველესი ქართული თეატრალიზებული თამაში-წარმოდგენა; 9. წყალმცენარეების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 11. სამცხის მმართველთა ტიტული; 12. ჩაის ბუჩქის ახლადამოსული ნორჩი ყლორტი; 14. ქართული გაზეთი; 17. სიახლის შემომტანი რაიმე საქმეში; 19. მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 21. ტროპიკული მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ყვავის.

**თარაზულად:** 5. რაიმე წარმატების აღსანიშნავად გამართული ქეიფი; 6. დედათა მონასტრის წინამძღვარი; 7. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 10. აეროპორტი ნიუ იორკში; 13. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 15. ქალაქი იმერეთში; 18. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 20. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 22. მეცნიერება ხეხილის ჯიშების შესახებ; 23. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 24. პოლიციის განყოფილება იტალიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰუმუსი; 2. კივი; 3. არბიტრაჟი; 4. ხენდრო; 5. შინშილა; 8. თუთუნი; 9. ბალახვანი; 12. ფესახი; 14. თაბახი; 16. იჯარა.

**თარაზულად:** 1. ჰაინიკენი; 6. კრიჟანგი; 7. მზითევი; 9. ბრაილი; 10. ხოტი; 11. სუფრული; 13. თეთრა; 15. თეზისი; 17. ჭიდაობა; 18. კაპელა; 19. შანხაი; 20. ტარიელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შტირია; 2. კარტეჩი; 3. ჯაფარიძე; 4. ალბინოსი; 8. ფიროსმანი; 9. ლამინარია; 11. ლიზინგი; 12. შუმი; 14. ლემა; 16. დისლალია; 17. ბაზალეთი; 19. ფლეგმა; 21. გინზა.

**თარაზულად:** 5. საფიჩხია; 6. ბრაშპილი; 7. გრიგოლეთი; 10. ღიღინი; 13. რამოსი; 15. ემპირეა; 18. მირაჟი; 20. არიოზო; 22. აპერიტივი; 23. სინდრომი; 24. ოზურგეთი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


12 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.4174

ევრო — 4.1590

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.8182

100 რუსული რუბლი — 4.6231

## ამინდის პროგნოზი 12 მაისისათვის




## ვერატიმ, შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატი გამოტოვოს

პსჟ-ს ნახევარმცველმა მარკო ვერატიმ ტრავმა მიიღო, რომელიც საკმაოდ სერიოზული ჩანს და, შესაძლოა, მან ამ მიზეზით ევროპის ჩემპიონატიც კი გამოტოვოს.

ჯერჯერობით უცნობია, როდის დაბრუნდება ის მოედანზე, მაგრამ ვერატი მინიმუმ ერთ თვეს გამოტოვებს, ევროპის ჩემპიონატი კი 11 ივნისს დაიწყება.





## მოურინიო: „რომაში მუშაობის დაწყებას მოუთმენლად ველი“

პორტუგალიელმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ რომაში მუშაობის დაწყებას მოუთმენლად ელის და მისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი პროცესია და არა შედეგი, თუმცა ახალი ტიტულების მოგებაც სასიამოვნოა:

– რომა ძალიან პერსპექტიული გუნდია, სადაც ვიცი, რომ საინტერესო ეტაპი მელოდება. ერთი სული მაქვს, მუშაობას შევუდგე. როგორც მწვრთნელს, ჯერ კიდევ ბევრი წელიწადი მელის წინ და ფეხბურთიდან წასვლას არ ვაპირებ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## თამარ ჭავჭავაძის ულამაზესი მარაო აღადგინეს



რესტავრაციამდე



რესტავრაციის შემდეგ

თანამედროვე ქართული სასცენო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებლისა და მხატვრული კითხვის ოსტატის, კოტე მარჯანიშვილის მოწაფის თამარ ჭავჭავაძის ულამაზესი მარაო აღადგინეს.

ინფორმაცია ხელოვნების სასახლის ხელმძღვანელმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– თამარ ჭავჭავაძის ეს ძვირფასი მარაო ორგანიზაცია „ისტორიალის“ წევრებმა დაღუპვისაგან იხსნეს. 2 წლის წინ ის ხელოვნებათმცოდნე მაკა დვალიშვილმა ჩვენს მუზეუმს გადასცა.

ჩვენც არ გვჯეროდა, რომ მის რესტავრაციასა და გადარჩენას შევძლებდით, თუმცა რესტავრატორების ნათია ქულუაშვილისა და არტემ ანტანოსის შრომამ ირაკლი ზამბახიძისა და ნათია ლომიას მხარდაჭერით, თავადაც ხედავთ, რა შედეგი გამოიღო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

ქალი გამომძიებელს ეუბნება:

– მან მოტყუებით დამითანხმა სექსზე.

– როგორ?

– მითხრა, რომ მომეწონებოდა.

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, გიყვარვარ?

– რა თქმა უნდა, ძვირფასო.

– და ღალატს მაპატიებ?

– რა თქმა უნდა, ძვირფასო, მკვდარს ყველაფერი ეპატიება.

●●●

მამაკაცი ოფიციანტს მიმართავს:

– ჩვენ ორნი, მე და ჩემი თანმხლები გოგონა, ვსადილობდით, აქ კი ანგარიში სამზეა!

– თქვენ უკან თქვენი მეუღლე იჯდა, გითვალთვალებდათ, მასაც მოშივდა და...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომ ხარ უხასიათოდ?

– მე და ჩემმა ცოლმა ვიჩხუბეთ.

– რატომ?

– ვერაფრით შევთანხმდით, სად გავატაროთ შვებულება.

– პრობლემა რა არის?

– რა და მე კანარის კუნძულებზე მინდა, მას კი ჩემთან ერთად უნდა წამოსვლა.

●●●

სასაფლაოზე ქვრივი ქალი და ქვრივი მამაკაცი საუბრობენ. ქალი ეკითხება:

– რისგან გარდაიცვალა თქვენი მეუღლე?

– იცით, ძალიან დიდი მაქვს და სექსის დროს დაიღუპა.

– იცით, ჩემი ქმრის გარდაცვალების შემდეგ სიცოცხლე აღარ მინდა და გთხოვთ, მეც მომკალით!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## თამარ ივერი: „სამარცხვინოა ამ ქვეყნის კულტურის მენეჯმენტი“



ოპერის მომღერალი თამარ ივერი საქართველოს კულტურის მენეჯმენტს სამარცხვინოს უწოდებს:

– შემთხვევით მოვისმინე ბლიცინტერვიუ მაია ბარათაშვილთან და რაღაც ოცნებების შეკითხვაზე: ვოცნებობ ბინაზე ბათუმშიო.

ღმერთო, სირცხვილი იმ სახელმწიფოს, სადაც მის ერთადერთ, საერთაშორისო კლასისა და დონის ჯაზმომღერალს, მისი სახელობის ვარსკვლავის მქონეს, როგორებსაც სხვა ქვეყანაში მინიმუმ 3-4 სახლი და 5 მანქანა ეყოლებოდა, იმის საშუალებაც კი არ აქვს, ბათუმში ბინა იყიდოს!

სამარცხვინოა ამ ქვეყნის კულტურის მენეჯმენტი, არ არსებობს შოუბიზნესი. რატომ უნდა ჰქონდეს საერთაშორისო კლასის მუსიკოსს ასეთი მწირი ფინანსები? ანუ ყველა გაიქცეს? მერე უძახეთ „ერის გამყიდველი“, თუ მას მეზობელი ქვეყანა დაასაქმებს და მისი შრომით „კაკ ნიბუდ“ ერთი-ორი ბინის საყიდელ ფულს იშოვის.

მაიას ადგილზე ერთი დღე არ გავჩერდებოდი მისი შემოქმედების ოქროს წლებში ამ უძრაობის წუმპეში! ოპერის მომღერალს, პიანისტს, მევიოლინეს, ბალეტის მოცეკვავესა და ა.შ. კიდევ აქვს საშუალება, აქ იცხოვროს, ამ ქვეყანაში არ იმუშაოს და აქედან, ევროპის აგენტებთან თანამშრომლობით, უცხოეთში იაროს გასტროლებზე, მაგრამ სხვა ჟანრის წარმომადგენლებმა რა ქნან?

ამ ესტრადისა თუ ჯაზის ჟანრის მსოფლიო აგენტებსაც კი არ აქვთ საქართველოსთან კავშირი. ჩაწოლილია და ფსკერზეა კულტურის სფერო, პანდემიამაც ბოლო მოუღო და იმედით შევყურებ, რომ ახალი მინისტრი რაღაც ძვრებს მოახდენს.

ვაღიაროთ, რომ გვაქვს გენიალური სამშობლო, მაგრამ ეკონომიკურად ჩამოშლილი სახელმწიფო, რაც თავს იჩენს ყველა სფეროში, მათ შორის ყველაზე მწვავედ კულტურისა და სპორტის სფეროში!

იმედია, რომელიმე სამშენებლო კომპანია ინამუსებს და მისი ქვეყნის ერთადერთ ჯაზის დივას ამ ელემენტარულ სურვილს მაინც აუსრულებს! სინდისის ამბავია, მეგობრებო! იკისრეთ! ყველაფერი ფულით არ იზომება!

თქვენს აშენებულში რომ ქვეყნის ცნობილი ადამიანები ცხოვრობენ, ეს თქვენთვის ბევრად უფრო დიდი პრესტიჟი და რეკლამაა, ვიდრე რუსი, უკრაინელი, თურქი თუ არაბი მყიდველებით ჯიბეში ჩაკუჭული დოლარები!

## თორნიკე ყიფიანმა ევროვიზიის სცენაზე პირველი რეპეტიცია გაიარა



2021 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსში საქართველოს წარმომადგენელმა თორნიკე ყიფიანმა სცენაზე პირველი რეპეტიცია გაიარა.

თორნიკე ყიფიანის მიერ შესრულებულ სიმღერას „იუ“ – „შენ“ დადებითი შეფასებები მოჰყვა.

პირველი რეპეტიციის შემდეგ თორნიკე ყიფიანმა ჟურნალისტების შეკითხვებს სპეციალურ პრესკონფერენციაზე უპასუხა.

ქართველი მომღერალი ევროვიზია 2021-ის კონკურსის მეორე ნახევარფინალურ ტურში 20 მაისს მე-10 ნომრად იმღერებს.

მეორე ნახევარფინალში 17 კონკურსანტი მონაწილეობს. მაყურებელი და ჟიური მათ შორის საუკეთესო ათეულს შეარჩევს, რომელიც ფინალში 22 მაისს იმღერებს.

ევროვიზიის სიმღერის რიგით 65-ე კონკურსს როტერდამი მასპინძლობს. კონკურსში წელს 39 ქვეყანა მონაწილეობს.

შოუს პირდაპირი ტრანსლაცია 18, 20 და 22 მაისს საქართველოს პირველი არხის ეთერში გაიმართება.

## მაიკო კაჭკაჭიშვილი სიკვდილს გადაურჩა



კომპოზიტორი მაიკო კაჭკაჭიშვილი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა:

– დღეს პირველად გავიგე, რა არის სიკვდილი!

აქამდე არასოდეს მოვხვედრილვარ ავარიაში, არც დღეს მოვხვდი რაღაც სასწაულის დამსახურებით, არადა, 1%-ც არ მქონდა გადარჩენის შანსი.

რედისონის გვირაბიდან მინიმუმ 130-ით – გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – გამოვარდა ჯიპი და ჩემ წინ მანქანას ისეთი სიძლიერით შეეჯახა, მარტო ხმამ გამაოგნა და ვხედავ, როგორ მოფრინავს ეს მანქანა და იმასაც ვხედავ, როგორ მეცემა ზემოდან მე. აღარ ვიცი მე მქონდა რეაქცია და რაიმე მანევრი გავაკეთე, თუ თავზე გადამიფრინა, ეს აღარ მახსოვს. გონზე რომ მოვედი, გვირაბის შესასვლელთან ვიდექი და მთელი სხეული მიხტოდა. უკან გავიხედე და ძალიან ბევრი ხალხი იყო მისული. რა ბედი ეწია იმ მანქანებს, არ ვიცი, გადარჩნენ თუ არა, ეგეც არ ვიცი, ძალაც კი არ მქონდა, რომ გადმოვსულიყავი.

მოკლედ მგონია, რომ ყველაფერი სხვანაირია, ვერ გამოვდივარ მდგომარეობიდან, არ მშორდება კადრი თვალებიდან. მგონია, რომ წარსული არ მქონია და ახლა დავიბადე და რეალურად დავინახე, რა წამიერია სიცოცხლე და რამდენად დასაფასებელია ადამიანი, რომელიც ამ წამს ფუჭად არ ხარჯავს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



12 მაისისათვის

**ვერძი** – დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **კურო** – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად კეთილისმყოფელი პერიოდია. **ტყუპები** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. **კირჩხიბი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დეპრესია გიტევთ, რომლის წამალიც მხოლოდ საქმეა. კარგი იქნება, თუ დაეხმარებით მათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება. **ლომი** – საკუთარი ძალები ადეკვატურად შეაფასეთ. მეგობრებს თქვენს აზრს ნუ შემოახვევთ. **ქალწული** – ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **სასწორი** – ნუ იაქტიურებთ. საამისოდ არც ენერგია გეყოფათ. აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ღრიანკალი** – შესაფერისი დროა გარემოს შესაცვლელად და გასართობად. იზრუნეთ საკუთარ თავზე. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ხალხმრავლობას. გიჯობთ, განმარტოვდეთ, იკითხოთ წიგნები, უბრალოდ, დაისვენოთ ყოველდღიური ალიაქოთისაგან. **თხის რქა** – ირწმუნეთ საკუთარი ძალების. სხვის იმედზე ნუ იქნებით. თქვენი მომხიბვლელობა საოცრად იზრდება. **მერწყული** – უსიამოვნებას თავიდან მხოლოდ დაკვირვებულობა და შორსმჭვრეტელობა აგაცილებთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** – ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი და კატეგორიული. ფინანსებს გაუფრთხილდით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მთავარი მოედანი ძველ რომში; 2. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 3. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 4. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 5. რბილი ფერადი ფანქრები ფერწერისათვის; 8. მილების სისტემის მქონე დიდი კლავიშებიანი ინსტრუმენტი; 9. კომიკური ოპერების სახელწოდება გერმანიასა და ავსტრიაში; 12. სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალების მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 16. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

**თარაზულად:** 1. მცენარეთა დაცვა მავნებელი მწერებისათვის შხამქიმიკატების შეხრჩოლებით; 6. აზრის არაპირდაპირ, იგავურად გამოხატვა ქართულ ლიტერატურაში; 7. გუმბათიანი, სვეტებიანი მრგვალი ნაგებობა; 9. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 10. პენიტენციარული დაწესებულება; 11. მზის სისტემის პლანეტა; 13. სპორტული თამაში ყინულზე; 15. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 17. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 18. ცის უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი; 19. გაზეთი, რომელიც ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით გამოდიოდა; 20. ციმბირში მზარდი წიწვოვანი ხე, რომელიც წყალში არ ლპება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

